აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№22 (24.902) ხუთშაბათი, 10 - 11 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 7-12, შიდამთიან რაიონებში - 1-6, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა.

საქართველოში მედიკამენტების თურქული ბაზრის გახსნაზე ისაუბრეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი თურქეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. თავდაპირველად იგი თურქეთის ფარმაცევტული პროდუქტებისა და სამედიცინო აღჭურვილობის სააგენტოს ხელმძღვანელებს შეხვდა და მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლის თურქულ მოდელს გაეცნო, - ამის შესახებ ინფორმაციას სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს. შეხვედრაზე საქართველოში მედიკამენტების თურქული ბაზრის გახსნაზე ისაუბრეს, ყურადღება გამახვილდა მედიკამენტების ფასის რეგულირების მექანიზმებზე. მინისტრმა აღნიშნა, რომ თურქეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები მკაცრად გაკონტროლდება.

გუშინ ჯანდაცვის მინისტრი თურქ კოლეგას ფაჰრეთთინ ქოჯას შეხვდა. ყურადღება თურქეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიულ პარტნიორობაზე გამახვილდა. განიხილეს ჯანდაცვის სფეროში არსებული ერთობლივი პროექტები და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს. შეხვედრაზე მთავარი აქცენტი თურქეთიდან საქართველოში მაღალი ხარისხის მედიკამენტების იმპორტზე გაკეთდა. მხარეები სამედიცინო სერვისსა და ფარმაცევტული მიმართულებით კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. დაიგეგმა თურქეთის ჯანდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველოში.

ზურაბ აზარაშვილი წამყვან თურქულ საწარმოებს დაათვალიერებს და მათი მუშაობის სპეციფიკას გაეცნობა, ასევე, ფარმაცევტული საწარმოების ასოციაციისგან თურქული ფარმაცევტული ინდუსტრიის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიიღებს.

საერთაშორისო სამედიცინო მომსახურების სააგენტოში დაგეგმილ შეხვედრაზე ქართველი პაციენტების თურქეთის რესპუბლიკაში მკურნალობის საკითხებს განიხილავენ.

მოამზადა
ანკა ჩხიკვაძემ

„ვუთანაგრძნობთ ამ მეტად მედგარ, მტკიცე ნებისყოფის ხალხს“

„დაიწყო დიდი მარხვა განცდებით, მწუხარებით. ჩვენ თვალს ვადევნებთ, რა ხდება ჩვენ გარშემო, სამეზობლოში. შეძრწუნებული ვართ იმ ბოროტებით, რაც უკრაინაში ხდება. ვუთანაგრძნობთ ამ მეტად მედგარ, მტკიცე ნებისყოფის ხალხს“, - ამის შესახებ ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა, მეუფე დიმიტრიმ ქადაგებისას განაცხადა, როდესაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა. როგორც მან აღნიშნა, ვლადიმერ პუტინს ქრისტიანულ ფასეულობებთან არაფერი აქვს საერთო.

„გამოჩნდა ბოროტმოქმედი მმართველი, რომელიც მთელს კაცობრიობას ბირთვული იარაღის ჯარუნით ემუქრება და თავის თავს ქრისტიანად მიიჩნევს. მას ქრისტიანულ ფასეულობებთან არანაირი საერთო არ აქვს. ის სიამოვნებით მთელს მსოფლიოს უცხადებს და ეუბნება, რომ თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებთ, მე თუ ბირთვული იარაღი გამოვიყენეო. ამას არაფერი აქვს ქრისტიანობასთან საერთო. ის ემუქრება ჩვენს ქვეყანასაც, ჩვენს შვილებს, თქვენს შვილებს და კაცობრიობას. როგორც მოგეხსენებათ, გარკვეული პერიოდი ვცხოვრობდი და ვსწავლობდი რუსეთში, ჩემთან ჩემი თანაკურსელები იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის, უკრაინელები, რუსები, სერბები, ბულგარელები და ა.შ. ყოველდღიურად ვხედავთ საშინელებას, როგორ ინგრევა, როგორ ნადგურდება, როგორ იხოცება უამრავი ადამიანი - ბავშვები, ქალები, კაცები. მე ჩემს ზოგიერთ

თანაკურსელს, მღვდელმთავრებს რუსეთში გავუგზავნე ასეთი შეტყობინება - თქვენ უნდა შეაჩეროთ ეს ბოროტმოქმედი, უნდა შეაჩეროთ და ამხილოთ, რადგან ის დაღუპავს რუსეთს, თუ უკვე არ დაღუპა, უკიდურეს შემთხვევაში, მე გამიჭირდება თქვენთან ურთიერთობა. სამწუხაროდ, მათგან არანაირი პასუხი არ არის და ეს მოსალოდნელიც იყო. მე მაქვს თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა ჩემს უამრავ მეგობართან, კურსელებთან უკრაინაში, ჩვენ ყოველდღიურად თვალცრემლიანები ვემშვიდობებით ერთმანეთს. განადგურებულია ზოგიერთი ეპარქია, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ყოველივე ამას. ძალიან გულნატკენები არიან, მე მხედველობაში მყავს რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიების ნაწილი, თავიანთ პატრიარქზე, რომელმაც, გარკვეულწილად, გამართლა და ამ ბოროტმოქმედებას, რაც უკრაინაში ხდება, უწოდა რუსეთის ინტერესების დაცვა“.

ქადაგებისას მეუფემ ხელისუფლების პოზიციასაც გაუსვა ხაზი:

„მინდა ორი სიტყვით შევეხო ჩვენი ხელისუფლების პოზიციას. გარკვეული სიფრთხილე აუცილებელი და საჭიროა, რადგან აღმოსავლური სიბრძნეა ასეთი: როდესაც ადამიანი წყალში იხრჩობა, თავის გადარჩენის მიზნით გველსაც კი მოჰკიდებს ხელსო. ყველაფერზე შეიძლება წავიდეს და ყველანაირი საზიზღრობა შეიძლება ჩაიდინოს. ჩვენ რა მოგვეთხოვება? მხოლოდ ლოცვა, ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლია. ეპარქიამ შეძლებისდაგვარად შეაგროვა გარკვეული შემოწირულობები, რომელიც ამ დღეებში გაიგზავნება უკრაინაში. მინდა კიდევ ერთხელ დავლოცო ეს მტკიცე, მედგარი, შეუპოვარი ხალხი და ვუსურვო მათ სიმხნევე და მტერთა ზედა გამარჯვება.“ - აღნიშნა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა, მეუფე დიმიტრიმ.

ელენე საყვარელიძე

კრიალოსა N იუსი

პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, 2022 წლის 14 მარტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას მოისმენენ. „ჩვენ გვქონდა კონსულტაცია საქართველოს პრეზიდენტთან და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან. შეთანხმებული პოზიციაა, რომ პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება გაიმართოს 14 მარტს, 12 საათზე. ეს არის სასესიო კვირა, თუმცა არ არის სხდომის დღე და ამიტომ ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ბიურომ და ჩანიშნოს სხდომა“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარე ნატოს სამეკავშირეო ოფისის ახალ ხელმძღვანელს ალექსანდრე ვინიკოვს შეხვდა. შალვა პაპუაშვილმა მადლიერება გამოხატა ნატოს მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისათვის. მხარეებმა ისაუბრეს ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე. პარლამენტის თავმჯდომარემ დაგმო რუსეთის შეჭრა უკრაინაში, ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოების კუთხით მთელ რეგიონში არსებულ მძიმე ვითარებაზე და აღნიშნა, რომ ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭიროა საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაცია.

* * *

გავრცელებული საუბრები, რომ საქართველოში უპრეცედენტოდ იმატა რუსეთის მოქალაქეების შემოსვლამ, არ არის მართალი, - ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა. მისი თქმით, 24 თებერვლიდან დღემდე, საქართველოში რუსეთის 20 000-ზე მეტი მოქალაქე შემოვიდა, მაშინ, როდესაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში 40 000 იყო შემოსული. მისივე თქმით, ქართულ მხარეს საზღვარზე კონტროლი გამკაცრებული აქვს. „სახელმწიფო საზღვარი კონტროლდება ძალიან მაღალ დონეზე“, - განაცხადა მინისტრმა.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის ნიკა მელიას განცხადებით, რუსეთის მიერ შექმნილ შიდა პლასტიკური ბარათების სისტემა „მირს“ შეუერთდა ქართული ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“, რითაც ხელს უწყობს რუსეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაწესებული სანქციებისთვის გვერდის ავლაში. „მე სანქციებს არ ვუერთდები - სახელმწიფო არ ვარ, კერძო კომპანია ვარ. მე მაინტერესებს ბილეთი გავყიდო, რით გაიყიდება, არ მადარდებს“, - განაცხადა „ჯორჯიან ეარვეისის“ ხელმძღვანელმა თამაზ გაიაშვილმა.

მოამზადა
ია შველიძემ

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სურსათის დეფიციტი არ შეიქმნება

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

უკრაინელი ლტოლვილების გარდა, საქართველოს რუსი მოქალაქეების დიდი ნაკადი მოაწყდა, რომლებიც საფრთხედ მიიჩნია ადგილობრივმა მოსახლეობამ. უმეტესობა თვლის, რომ შეიქმნება პროდუქტების დეფიციტი და ფასები მკვეთრად გაიზრდება, ბევრი სულაც შიმშილობის მოახლოებას პროგნოზირებს. სოციალურ ქსელებში წერენ, რომ განმეორდა პანდემიის საწყის ეტაპზე მიმდინარე პროცესები. შეშინებული ხალხი ისევ მიაწყდა მარკეტებს და დააცარიელა დახლები. იმარაგებენ ყველაფერს: მარილს, მაკარონს, შაქარს, ასანთს, ფქვილს და უამრავ სხვა სტრატეგიულ პროდუქციას. თავისთავად, იზრდება მოთხოვნა - იზრდება ფასიც, არავინ დაგიდევს ერთი-ორი ლარით გაძვირებულ პროდუქტს, თუმცა, საბოლოო ჯამში, მართლაც დიდ მოგებაზე გადიან მიმწოდებლები.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია მსხვილი სავაჭრო ქსელების და სურსათისა და პირველადი მოხმარების პროდუქციის საქართველოში იმპორტის განმახორციელებელი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია, სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის სტაბილური მიწოდების შენარჩუნების პარალელურად, კომპანიებმა სოციალური პასუხისმგებლობით იმოქმედონ, რათა არ მოხდეს ფასების უსაფუძვლო მატება:

„დღეს არსებულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს მხრიდან საჭირო მიმართულებების მხარდაჭერა, ასევე ბიზნესისგან განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. იმპორტიორებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებისგან მივიღეთ ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ; სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მარაგების მხრივ არანაირი დეფიციტი არ არსებობს. მაქსიმალურ კოორდინაციაში ვიმუშავებთ იმპორტიორებთან და მიმწოდებლებთან“.

საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელის ივა ჭყონიას განცხადებით, ამ ეტაპზე, ბაზარზე სტაბილური ვითარებაა, თუმცა ბოლო დღეებში სავაჭრო ქსელებში მიწოდების მხრივ შეფერხებები დაფიქსირდა, რაც მოსახლეობის მხრიდან ჭარბ შესყიდვებს უკავშირდება და ხელოვნურად იწვევს დეფიციტს.

„გარკვეულ ბრენდებთან დაკავშირებული ჩავარდნები გამოწვეულია ლოგისტიკური ჯაჭვის წყვეტით, მაგრამ თუ დღეს გარკვეული ბრენდის ზეთი, წიწიბურა თუ შაქარი მომხმარებელს არ დახვდა დახლზე, ეს არ ნიშნავს, რომ ორ-სამ დღეში არ იქნება. მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ ჭარბი შესყიდვებით არ დააზიანონ არც საკუთარი თავი და არც სხვა მომხმარებელი“, - განაცხადა ივა ჭყონიამ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 1 აპრილიდან ქარხანა „აგარის შაქარი“ სრული დატვირთვით განაახლებს მუშაობას.

„დღევანდელ დღეს პანიკის საფუძველი არ არსებობს. ჩვენ გვაქვს საკმარისი მარაგები. პირველი აპრილიდან ქარხანა „აგარის შაქარი“ სრულად დაიტვირთება. შესაბამისად, ადგილზე მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით იქნება შესაძლებელი“, - განაცხადა კომპანიის „აგარის შაქარი“ წარმომადგენელმა ნიკოლოზ ნათბილაძემ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ქვეყანაში სურსათის შეუფერხებელი მიწოდებისა და მარაგების შევსების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებენ. უწყვეტ რეჟიმში და კოორდინირებულად მუშაობენ მსხვილი სავაჭრო ქსელების, სურსათისა და პირველადი მოხმარების პროდუქციის საქართველოში იმპორტის განმახორციელებელი კომპანიების წარმომადგენლებთან.

„მირს“ საქართველოსთან შეხება არ აქვს

ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები და საბარათე საპროცესინგო სისტემები გადახდების სისტემების კომპანია „მირთან“ არ თანამშრომლობენ - ამ სისტემით ოპერაციები სრულად ხორციელდება რუსულ სისტემაში და მას საქართველოს საფინანსო სისტემასთან შეხება არ აქვს. ამასთან, ბანკის ინფორმაციით, საგადახდო სისტემების კომპანია „მირი“ თანამშრომლობს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკასთან, რაც, ბანკის შეფასებით, შესაძლოა, არღვევდეს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს.

„რაც შეეხება ქართული კომპანიის თანამშრომლობის საკითხს, აღნიშნულის შეფასება სცილდება ეროვნული ბანკის კომპეტენციას. საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველთვის მოქმედებდა და მოქმედებს საერთაშორისო რეზოლუციებით განსაზღვრულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში. შეგახსენებთ, რომ სანქციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულების შესახებ მითითება ეროვნულმა ბანკმა საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს უკვე მისცა“, - აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

ამირან გურიელიძე

მიზანი – სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აქტივისტებმა იოსებ ყაზაიშვილმა, დეა ერემაშვილმა და დავით არძენაძემ სემინარი ჩაატარეს. განიხილეს ტრენინგ-მოდულით გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის განმარტება, სამედიცინო, სოციალური მოდელი, ტერმინები, ხელისშემშლელი ბარიერები, საკანონმდებლო ჩარჩო, უნივერსალური დიზაინი და გონივრული მისადაგება, ინკლუზიური განათლება - სეგრეგაცია, ინტეგრაცია, სტერეოტიპები - ქცევა და ეტიკეტი და სხვა.

სემინარი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა.

ღონისძიების მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით. პროექტს ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებენ ორგანიზაციები - „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“.

მიზანი – ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ 150 ათასი თანადაფინანსების გრანტების პროგრამა გამოაცხადა. საგენტოს ცნობით, წელს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის მოცულობა 100 ათასიდან 150 ათას ლარამდე გაიზარდა, ხოლო აღნიშნული პროგრამის შვიდი რაუნდის ფარგლებში ჯამურად 135 სტარტაპი დაფინანსდა.

„პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება, მათი კომერციალიზაცია და ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება. თანადაფინანსების გრანტები წარმოადგენს დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინსტრუმენტს, რომელიც ინოვაციის მხარდასაჭერად გამოიყენება, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, რომელიც განკუთვნილია დამწყები/ორ წლამდე კერძო, მცირე საწარმოებისთვის. საგრანტო კონკურსში მოთხოვნილი გრანტის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150 ათას ლარს. თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროექტები-საქმიანობები, გარდა სამხედრო, ბირთვულ ტექნოლოგიებთან, სპირტის და სპირტიანი სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოებისა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ თანადაფინანსების ვებ-პორტალზე: www.grants.gov.ge.

ამირან გურიელიძე

როგორ დაიმორჩილეს რეკორდსმენებმა მატარებლის ათი ვაგონი?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ამ დღეებში ბათუმში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. მისი ავტორები საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა და მთიელთა თამაშების ეროვნული ფედერაციის ნაკრების წევრები, ბათუმელი ბაგრატ ჟღენტი და მისი მეწყვილე გიორგი ტალახაძე გახლავთ. ქართველმა სტრონგმენებმა სატვირთო მატარებლის ათი ვაგონი, რომლის საერთო წონა 240 ტონას შეადგენდა, უკრაინელების მიერ ერთი წლის წინ დაფიქსირებულ შედეგზე ერთი მეტრით წინ გასწიეს და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

- ამ დღისთვის მე და ჩემი მეწყვილე სამი თვე ვემზადებოდით. სინქრონული მოძრაობით მოვახერხეთ არა მარტო ვაგონების დაძვრა, არამედ ახალი რეკორდის დამყარება - 1 მეტრითა და 100 ტონით გადავაჭარბეთ წინა რეკორდს, - თქვა ბაგრატ ჟღენტმა.

- თავად რეკორდის დამყარება სანახაობრივად ძალიან მცირე დროს მოიცავდა, თუმცა ძალიან რთული იყო. ამისთვის სათანადოდ თუ არ მოემზადე, არაფერი გამოვა. ვშიშობდით, ეგებ არ გამოგვსვლოდა, მაგრამ როცა უშუალოდ დაძლევაზე მიდგა საქმე, მივხვდით, რომ თავს გავართმევდით. გვიხარია, რომ შრომამ შედეგი გამოიღო, - აღნიშნა გიორგი ტალახაძემ.

ქართველი სპორტსმენები სამომავლოდ ახალი რეკორდების დამყარებას გვპირდებიან.

სუპერფინალის საგზური მოიპოვა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის „საჭადრაკო კლუბი ნონას“ წევრმა მარიამ კალანდაძემ ამ რამდენიმე დღის წინ, აჭარის ჩემპიონატზე, 12 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიკუთრა.

ახლახან მარიამმა ისევ გაგვახარა - საქართველოს ონლაინ გრან-პრის წრიულ ტურნირში 7 შესაძლებლობიდან 5,5 ქულით გაიმარჯვა და საქართველოს სუპერფინალის საგზური მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ სუპერფინალი 15-17 მარტს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში, დაფასთან თამაშის რეჟიმში გაიმართება წრიული სისტემით ექვს მოთამაშეს შორის.

ვულოცავთ მარიამს გამარჯვებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

შემოეღინება თუ არა რუსების დიდი ნაკადი ბათუმში?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

რუსეთიდან წამოსულმა ტურისტების დიდმა ნაკადმა შეაშინა ბათუმელები. ჭორ-მართალი ერთმანეთში აირია, ყველას აინტერესებს, რა მიზნით შემოდიან აჭარაში რუსები და რა სურთ საბოლოოდ

მავანნი ამბობენ, რომ ეს ყველაფერი დროებითია, სხვები ამტკიცებენ - ბიზნესის აწყობა სურთ, რადგან დასავლეთმა ფინანსები დაუბლოკეთ, ბევრი იმასაც აცხადებს, რუსეთი აქ მეხუთე კოლონას აყალიბებს და უკრაინის შემდეგ საქართველოს დაარტყამსო. ასეა თუ ისე, ეკონომიკური სურათი სულ უფრო მძიმდება. ფულით ჩამოსული უცხოელები იწვევენ ფასების სტიქიურ ზრდას, რაც ნეგატიურად აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე. მანამდე გამყარებული ლარი უპრეცედენტოდ ეცემა, რაც, ისევ და ისევ, ჩვენს მსყიდველუნარიანობაზე იქონიებს უარყოფით გავლენას.

ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ***ტიტე არუშიძე.***

- მთელმა სამყარომ ნახა, რას იწვევს ორი დიდი სახელმწიფოს ომი, როგორ ერთვება ამ ბრძოლაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა ფორმით. აქ საუბარია არა მხოლოდ ფიზიკურ და მატერიალურ დაპირისპირებებზე, არამედ ეკონომიკის უძლიერეს რყევებზე, რის შედეგებსაც უახლოეს მომავალში მწარედ ვიწვნევთ. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაგვიჭირდება იმ კრიზისის დაძლევა, რაც გველოდება. რუსეთ-უკრაინის ომს, რომელსაც პუტინი ჯიუტად ეძახის სპეცოპერაციას, გამართლება არ აქვს არც ერთი იურიდიული სამართლით. ფაქტია, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება, ქალაქები, სოფლები ინგრევა, ნადგურდება ინფრასტრუქტურა. ყველაფერი ეს დიდ გავლენას მოახდენს არა მხოლოდ უკრაინაზე, არამედ მთელ ევროპასა და მოსაზღვრე ქვეყნებზე, რომელთანაც უკრაინას მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა ჰქონდა.

- რას იტყვით რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებზე?

- ევროპისა და ცივილიზებული სამყაროს გაერთიანება ომის შესაჩერებლად და უკრაინის მხარდასაჭერად უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ გატარებული სანქციები უდიდეს დარტყმას აყენებს რუსეთის ეკონომიკას. საქართველოც აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის რეზოლუციების მიღების პროცესში და მაქსიმუმს აკეთებდა აგრესიის შესაჩერებლად, რუსეთისთვის ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების სტატუსების გასაუქმებლად.

- შედეგს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ...

- დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დავინახავთ, რომელიც გავლენას იქონიებს ომის ხანგრძლივობაზე. იმედს ვიტოვებ, რომ რუსეთი მალე მოეგება გონს და შეწყვეტს სამხედრო მილიტარიზაციას უკრაინაში.

- თქვენ ამბობთ, რომ მთელი ცივილიზებული სამყარო ეხმარება უკრაინას, მაგრამ ფაქტია, რომ მტრებთან პირისპირ სწორედ უკრაინელები დარჩნენ და არცერთი ქვეყანა არ უდგას მხარში იარაღითა და ცოცხალი ძალით. რას უფრთხის ევროპა?

- ამ ქცევას ვხსნით სიფრთხილით, რუსეთის არაპროგნოზირებადი რეაქციებით და პუტინის არაორდინარული გადაწყვეტილებებით. ყველას გვახსოვს 2008 წელი, როდესაც აღშფოთება-შეშფოთებით აკრიტიკებდნენ რუსეთს და გმობდნენ მის აგრესიას საქართველოში, მაგრამ ისიც დავინახეთ, კონკრეტულად რით შემოიფარგლა რუსეთის მიმართ ნახევარი მსოფლიო. ახლახან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ ვერ ვისწავლეთ რუსული აგრესიის გაკვეთილები. ძალიან დიდი ხანია, მეორე ლოჟა მივუშვირეთ. ვერავინ იტყვის, რომ არ გაგვაფრთხილეს. ვნახეთ, რა გააკეთა რუსეთმა საქართველოში 2008 წელს, უკრაინაში 2014 წელს და, თუნდაც, სოლსბერის ქუჩებში“. ანუ მაინც აღიარეს, რომ სწორედ საქართველო იყო განგაშის პირველი ზარი მთელი მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით კი ევროპის განვითარებული ნაწილისთვის, რომელმაც თავი არ აიტკივა პატარა ქვეყნის პრობლემებით.

- პრინციპში, ახლაც მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით და კრიტიკით შემოიფარგლებიან.

- მე მაინც ვფიქრობ, რომ ევროპის ჩართვა ამ კონფლიქტში იმაზე უარეს შედეგებს მოგვცემს, ვიდრე გვაქვს, რადგან რამდენიმე ქვეყნის ბრძოლა უკვე მესამე მსოფლიო ომის გამომწვევი იქნება, რაც უბედურებით დასრულდება მსოფლიოსთვის. ამის მტკიცების საფუძველი გვაქვს, რადგან გავიმეორებ - პუტინი არაპროგნოზირებადია. მსგავსი ომის წაოწყებას აუცილებლად მოჰყვება ბირთვული იარაღის გამოყენება, რაც არა მხოლოდ ევროპა-ამერიკა-რუსეთის, პლანეტის არსებობას შეუქმნის საფრთხეს. ცხადია, ამის საშიშრობას და რისკებს კოლექტიური დასავლეთი ითვალისწინებს და ამიტომ იკავებს თავს ომში ჩაბმისგან. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ უკრაინის ომზე ევროპას იმაზე გაცილებით მეტი რეაქცია ჰქონდა, ვიდრე თავის დროზე - საქართველოში. მან გაატარა აქამდე უპრეცედენტო სანქციები, დაეხმარა უკრაინას იარაღითაც და, პრაქტიკულად, რუსეთი ისეთ ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქცია, როგორსაც არავინ ელოდა. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ დასავლეთი არ ჩაერია, უბრალოდ, არ იყენებს სამხედრო ძალას, რადგან უფრთხის მესამე მსოფლიო ომის დაწყებას.

- რამდენად სწორი იყო ზელენსკის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა? მით უფრო, უნდა სცოდნოდა, რომ დასავლეთი არ დაეხმარებოდა ცოცხალი სამხედრო ძალით.

- ზელენსკის კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ცოცხალი ძალით ვერ დაეხმარებოდა ვერც ნატო და ვერც ევროკავშირი. მით უმეტეს, დოქტრინებში გარკვევით უწერიათ, რომ არ აქვთ ჯარით დახმარების უფლება, თუკი საფრთხე არ ექმნება მათ საზღვრებში მოქცეულ ქვეყნებს, მაგრამ, მოდით, ამ შეკითხვის სრული პასუხისგან თავს შევიკავებ, რადგან უკრაინის პრეზიდენტი საომარ მოქმედებებშია ჩართული, მისი ქვეყანა ლამის ნანგრევებად იქცა, აქედან გამომდინარე, არ მაქვს მისი განსჯის არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება. როგორ იქცევა და როგორ უნდა მოქცეულიყო ზელენსკი, ამას უახლოეს მომავალში ექსპერტები შეაფასებენ, დეტალურად განიხილავენ უარყოფითსაც და დადებითსაც, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩება, რომ რუსეთმა აშშ-ის და ევროკავშირის საშუალებით, პროვოკაციაზე წამოაგო უკრაინა და ხელჰყო მისი სუვერენიტეტი. შედეგს ყველა ვხედავთ - რა ვითარებაა და რა მოთხოვნები გაახნია რუსეთის მხარეს. თუკი ადრე ერთს ითხოვდა, ახლა გაცილებით მეტი მოისურვა.

- როგორ შეაფასებთ ღარიბაშვილის პოზიციას?

- დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე, ხალხზე ფიქრობს და, აქედან გამომდინარე, იღებს საერთაშორისო მასშტაბის გადაწყვეტილებებს. ექსპერტები თავის დროზე, ისევე როგორც ზელენსკის ქმედებებს, შეაფასებენ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდება ყველა, რამხელა ნგრევას და სიკვდილიანობას გადაურჩა ჩვენი ქვეყანა. საქართველო არ გამოაკლდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ არცერთ რეზოლუციას, მხარი დაუჭირა ცივილიზებული სამყაროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ევროკავშირი და უკრაინის წამყვანი ელიტაც აღიარებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ეხმარება რიგი საკითხების მოგვარებაში, მადლობას გვიხდიან თანადგომისთვის. კელი დეგნანი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება უკრაინელი ხალხის გვერდით დგას და ყველაფერს აკეთებს ომის შესაჩერებლადო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორც ხელისუფლების გუნდის წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ ჩვენი ხელისუფლება აბსოლუტურად სწორად მოიქცა და იქცევა ამ ურთულეს, დაძაბულ ვითარებაში. მესმის, რომ ემოციური ფონი ძალიან მაღალია, მესმის, რომ გულგრილი ვერ ვიქნებით მიმდინარე უსამართლო ომის შეფასებისას და გამოვხატავთ და უნდა გამოვხატოთ კიდეც პროტესტი. ახალგაზრდები არიან განსაკუთრებით შეშფოთებულნი, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ ბევრი მათგანი შორს დგას პოლიტიკისგან. ზოგიერთს არც უნახავს ან არ ახსოვს 2008 წლის ომი, აფხაზეთსა და ოსეთში მიმდინარე უმოწყალო ბრძოლებზე აღარაფერს ვამბობ. ვერც კი წარმოუდგენიათ, რას ნიშნავს ომი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და გონიერი გადაწყვეტილებების მიღება გვმართებს. შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია და უპირობოდ ვდგავართ უკრაინელი ხალხის გვერდით. აქვე აღვნიშნავ, რომ არ მივიჩნევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების და მათი მიმდევრების პოზიციას გამართლებულად. არ მინდოდა მათი ხსენება, მაგრამ როდესაც ქვეყანაში არსებულ სიტუაციას აჯამებ, არ გამოდის. ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი უკვე ოკუპირებულია. ვისი და რისი ბრალი იყო, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ვიცით, რომ რუსეთი არის ოკუპანტი და ვმოქმედებთ იმ გადაწყვეტილებების მიხედვით, რომელიც საქართველოს მომავლის, მისი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის იქნება მნიშვნელოვანი.

- ბათუმში შემოვიდა რუსი ტურისტების დიდი ნაკადი. ომის ფონზე მათი აქ ჩამოსვლა ბათუმელების შეშფოთებას იწვევს.

- აუიოტაჟი, რომელიც რუსი ეროვნების ხალხის შემოსვლამ გამოიწვია, გაუმართლებელია. თუ ვაცხადებთ, რომ ვართ ქვეყანა, რომელიც ხელგაშლილად ვმასპინძლობთ ტურისტებს, ნუ დაგვავიწყდება სტუმართმოყვარეობა. მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აზიანებს, პირველ რიგში, ქვეყნის ინტერესებს და ნებისმიერ სექტორს როგორც ეკონომიკურად, ისე სხვა მიმართულებით. აქვე მინდა, მოვუწოდო ჩვენს თანაქალაქელებს, არავითარ შემთხვევაში არ გამოავლინონ აგრესია ჩამოსულთა მიმართ. მსგავსი რამ, უბრალოდ, არ შეგვშვენის. ბევრი აცხადებს უარს სერვისის მიწოდებაზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ რუსი ეროვნების კლიენტი მიდის მასთან.

- რას გვირჩევთ, როგორ მოვიქცეთ?

- ამისთვის არსებობს შესაბამისი უწყებები, სამსახურები, რომლებიც ფილტრავს, ვინ მეგობარია და ვინ - მტერი. დაუფიქრებელმა ქმედებებმა და გაუმართლებელმა ემოციებმა შესაძლოა, გამოიწვიოს ის ვითარება, რაც, არასწორი პოლიტიკის გატარების გამო, უკვე ვიწვნიეთ წარსულში. ვგულისხმობ, აქციებს, როდესაც რუსეთიდან გამოდევნეს იქ დასაქმებული ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ასი ათასობით ოჯახს არჩენდნენ საქართველოში. ეს ფორიაქი ცუდ შედეგებს გამოიღებს ისევ და ისევ ქართველებისთვის, შესაძლოა, ყველაფერი ისეთ მასშტაბებზე გავიდეს, როგორიც ვერავის წარმოუდგენია.

- რაც შეეხება უკრაინის მოქალაქეებს...

- ჩვენ ვღებულობთ და კიდევაც მივიღებთ უკრაინელებს ტურისტის რანგში თუ ლტოლვილის სტატუსით. ახლა ტურისტული მარშრუტებით, ცხადია, არ ინტერესდებიან უკრაინელები, მაგრამ იცით, რომ ბევრი ჩარჩა და ვეღარ ბრუნდება სამშობლოში. მათ ყოველგვარ დახმარებას ვუწევთ როგორც უფასო სასტუმროებით, ისე საკვებით, მათთვის საჭირო აქსესუარებითა თუ ნივთებით.

იხ. მე-6 გვ.

> *„დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე, ხალხზე ფიქრობს და, აქედან გამომდინარე, იღებს საერთაშორისო მასშტაბის გადაწყვეტილებებს. ექსპერტები თავის დროზე, ისევე როგორც ზელენსკის ქმედებებს, შეაფასებენ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდება ყველა, რამხელა ნგრევასა და სიკვდილიანობას გადაურჩა ჩვენი ქვეყანა*

უცხოეთი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი ეჭვობს, რომ მისი ქვეყანა დაუბრუნდება რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობებს იმის მიუხედავად, როგორ წარიმართება „სპეცოპერაცია“ უკრაინაში. პოლონურ გამოცემასთან საუბრისას მან რუსეთს არაპროგნოზირებადი და არადემოკრატიული ქვეყანა უწოდა. ბორის ჯონსონის თქმით, უკრაინაზე თავდასხმით რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია, რაც შეუძლებელს ხდის ამ ქვეყანასთან ნორმალურ ურთიერთობას. „ჩვენი ამოცანა არ არის, ვეცადოთ რუსეთის შეცვლას ან გადავწყვიტოთ, როგორი უნდა იყოს რუსეთი, ჩვენი ამოცანაა, მივაღწიოთ ჩვენს ერთიანობას და წინ აღვუდგეთ აგრესიას უკრაინისთვის დახმარებით“, - განაცხადა ჯონსონმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთმა რუსეთის პრეზიდენტი უნდა მოაქციოს პოლიტიკურ იზოლაციაში და განაგრძოს მასზე ეკონომიკური ზეწოლა.

* * *

ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი ქვეყნებს უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. მან მწუხარება გამოხატა ევროპის კონტინენტზე მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის გამო. სი ძინპინი ამ ეტაპზე მთავარ ამოცანად მიიჩნევს კონფლიქტის ესკალაციისა და კონტროლიდან გასვლის შეჩერებას. „ჩვენ უნდა მოვუწოდოთ მაქსიმალური თავშეკავებისკენ, რათა თავიდან ავიცილოთ მასშტაბური ჰუმანიტარული კრიზისი“, - განაცხადა მან საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან და გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან გამართულ ვიდეოსამიტზე. თებერვლის მიწურულს, სატელეფონო საუბრისას, ჩინეთის ლიდერმა უკრაინისა და რუსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ ასევე მოუწოდა ვლადიმერ პუტინს.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრი ალექსეი რეზნიკოვი მოუწოდებს მოქალაქეებს, ნუ გაავრცელებენ ინფორმაციას კონკრეტული ქვეყნებიდან იარაღის მიწოდების თაობაზე, - ამის შესახებ საუბარია უკრაინელებისადმი მინისტრის მიმართვაში. როგორც რეზნიკოვმა განმარტა, სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს პარტნიორ ქვეყნებთან უკრაინის თავდაცვისთვის საჭირო დახმარების თაობაზე. „გთხოვთ, თავი შეიკავეთ ამა თუ იმ ქვეყნიდან ჩვენთვის იარაღის მიწოდების შესახებ შეტყობინებების გავრცელებისგან, დაუტოვეთ უფლება ოფიციალურ პირებს, მათ ისაუბრონ ამ თემაზე. მესმის, რომ ადამიანებს სურთ გაიზიარონ სასიხარულო ამბები, მაგრამ ხანდახან ეს ქმნის ინფორმაციულ ფონს, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს შედეგზე“, - ნათქვამია მიმართვაში.

* * *

პოლონეთის განცხადებას, რომ მზადაა, თავისი „მიგ-29“ ტიპის ყველა გამანადგურებელი თვითმფრინავი ვაშინგტონს განკარგულებაში გადასცეს, პენტაგონის პრესსპიკერი გამოეხმაურა. ჯონ კირბის განცხადებით, აღნიშნული წინადადება დასაბუთებული არ არის. „გავაგრძელებთ კონსულტაციებს ამ საკითხზე პოლონეთთან და ნატოს სხვა მოკავშირეებთან, მაგრამ არ მიგვაჩნია, რომ პოლონეთის წინადადება გონივრულია“, - განაცხადა მან.

მოამზადა
ია შველიძემ

„...ეს სიტყვები ზელენსკის ერთი თვით ადრე რომ ეთქვა, ომი არ დაიწყებოდა“

ხატია იაშვილი 591 98 24 26

ჯერ ისევ მოგვდევს საბჭოური წარსული, რომელიც გულისხმობს საერთო მენტალიტეტს, ცხოვრების წესს, განათლებას, მედიცინას, საოჯახო ნივთებსაც კი. რამდენჯერ შეგვინიშნავს ყოფილი მოძმე რესპუბლიკების ფილმებში იგივე ავეჯი, ნათურა, ლარნაკი თუ სერვიზი, რომელიც ჩვენც გვაქვს. ლამის საუკუნოვანი ერთად ყოფნა ასე იოლად არ ბარდება წარსულს, მით უმეტეს, რომ ჩვენ შორის ისევ შრომობენ და იღვწიან ქართველები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობდნენ, უკრაინაში კი განათლებას ღებულობდნენ. ბევრ ჩვენგანს ჰყავს რუსი თუ უკრაინელი წინაპარი, ანუ ნათესაური კავშირები ჯერაც არ ჩახსნილა, რაც კიდევ უფრო რთული სიტუაციის წინაშე გვაყენებს ამ სისხლისმღვრელი ომის მიმდინარეობისას.

გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ პარლამენტართან, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგთან, პროფესორ ***ილია ნაკაშიძესთან,*** *რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ორივე ერთან და დღეს უჭირს იმ აგრესიის მიღება, რომელიც გამოამჟღავნა რუსეთმა ასევე სლავების - უკრაინელი ხალხის მიმართ.*

- რა დამოკიდებულება გაქვთ რუსეთ-უკრაინის ომთან?

- ცნობისთვის: დავიბადე ჩრდილოეთ ყაზახეთში, ვცხოვრობდი რუსეთში, ხოლო პროფესიული განათლება მივიღე უკრაინაში. იქ ვსწავლობდი 11 წლის განმავლობაში და შემდეგ დავუბრუნდი სამშობლოს - საქართველოს, ანუ ვარ ამ ქვეყნების კულტურის ერთგვარი აკუმულატორი. აქედან გამომდინარე, ალბათ არ ჩამითვლით მიკერძოებაში, მაგრამ რაც ხდება უკრაინაში, ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ თითქმის ტრაგედიაა. იცით, ყაზახეთში რა პრობლემებიც იყო, რუსეთთან სავიზო რეჟიმი გვაქვს, უკრაინაში კი, სადაც ახალგაზრდობის ყველაზე ნაყოფიერი წლები გავატარე, ახლა სისხლი იღვრება. ვხედავ, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ჩემი კოლეგები და ნაცნობ-მეგობრები, რომლებთანაც ახლაც მაქვს კავშირები. ეს განსაკუთრებული განცდაა, ჩემი განვლილი ცხოვრების განსაკუთრებული ნაწილი. უკრაინის წინაშე ვალდებულებას ვგრძნობ. იქაურმა პროფესიულმა განათლებამ წარმატებული კარიერის გაკეთების საშუალება მომცა. მე შევდექი როგორც ექიმი, პიროვნება და ამაში უკრაინას უდევს ლომის წილი. რაც შეეხება ამ ომის ზოგად შეფასებას, ვიტყოდი, რომ ნამდვილი ტრაგედიაა, მსოფლიო აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო ორი კვირის წინ. ომის პროცესები გაამწვავებს ბევრ პოლიტიკურ პრობლემას, მაგრამ ამ ფონზეც კი, უნდა შეეცადოთ, მშვიდობიანი გზით ვატაროთ ჩვენი საქართველო. ამ მხრივ უდიდესი გამოცდილება გვაქვს და იმედი მაქვს, მაშინდელი მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით, უსაფრთხოდ გამოვიყვანთ ერს ომის დაუნდობელი პროცესებიდან. კიდევ ერთ დარტყმას საქართველო ვეღარ გაუძლებს. უნდა მოვზომოთ თითოეული ნაბიჯი ჩვენი მომავალი თაობისთვის, ჩვენი ბავშვებისთვის.

- ჩვენ-ევროპა-ომი...

- რა წარსულიც უნდა გვაკავშირებდეს რუსეთთან, ჩვენი მენტალიტეტით და გაგებით ევროპული ქვეყანა ვართ. ქართველი ახალგაზრდობა სიამოვნებით მიემგზავრება ევროპაში განათლების მისაღებად და ძალიან კარგად ეთვისება ევროპულ მოთხოვნებს. იგივე ტურიზმის მხრივ, ქართველებისთვის უპრიანია ევროპული მარშრუტების არჩევა და იქ დასვენება. ის, რაც დღეს ხდება, ალბათ იმ ცივი ომის გაგრძელებაა, რომელიც თავის დროზე ვერ გადავლახეთ, რაშიც ჩვენი მენტალიტეტიცაა დამნაშავე. იმის მიუხედავად, რომ სიტუაცია ძალიან დაძაბული და არაერთაზროვანია, მაინც ვთვლი, რომ ომი მალე დასრულდება, ყველაფერი დაილექება, გაიმარჯვებს მშვიდობა, დემოკრატიული ურთიერთობები და მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპს შეუდგება, რომელშიც აღარ ექნებათ ადგილი აგრესორებს და დიქტატორებს. იმას, რაც დღეს ხდება ცენტრალურ ევროპაში, სადაც ამ წუთებშიც კი იღუპება უამრავი ადამიანი ორივე მხრიდან, ვერ გავამართლებ ვერცერთი კუთხით. ეს ყველაფერი ძალიან ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას, ტოვებს ნალექს ოჯახებში. ხომ ხედავთ, რამდენიმე ათასი ადამიანია განადგურებული, რამდენი ლტოლვილად იქცა. ამჟამინდელი მონაცემებით მათმა რიცხვმა მილიონ 700 ათასს გადააჭარბა. ემისიაა ემიგრანტების უკრაინიდან. მათ შორის ბევრია ბავშვი, სრულიად ახალგაზრდა ადამიანი... რით იწყებენ საკუთარ ცხოვრებას, როგორ პირველ ნაბიჯებს დგამენ ცხოვრებაში, ყველა ვხედავთ. ისინი გაურბიან სიკვდილს, დაბომბვას, შიმშილს, სიცივეს, ნანგრევებში აღმოჩენას და ცოცხლად ჩამარხვას. ომი საშინელებაა, განსაკუთრებით, სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. მშვიდობაზე უკეთესი არაფერია. კარგად იცით, რამდენი ათწლეული დაგვჭირდა მეორე მსოფლიო ომის შედეგების, იქიდან მომდინარე ბარიერების გადასალახად, რომ ნორმალურად აგვეწყო ურთიერთობა, იგივე გერმანიასთან, ევროპის სხვა ქვეყნებთან... ამ გადასახედიდან კარგად ჩანს, რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ომი. ხომ შეიძლებოდა, რომ მილიონობით დაღუპულ იმ ადამიანს ეცოცხლა, საკუთარი ქვეყნისთვის ეშრომა და ოჯახები შეექმნა, დღეს ხომ სულ სხვა ვითარება გვექნებოდა?

- ნატოში შესვლის სურვილის გამო დაარტყა რუსეთმა უკრაინას. როგორ ფიქრობთ, ზელენსკი გაბედავდა ამ ომში შესვლას, რომ არ ჰქონოდა დასავლეთის მტკიცე იმედი?

- რთულია საუბარი იმაზე, რაც დიდ პოლიტიკას შეეხება. დღეს ფაქტის წინაშე ვდგავართ - საომარი მოქმედებები მიმდინარეობს უკრაინაში, უამრავი ლტოლვილია. ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ნებისმიერ მოვლენას ორი მხარე აქვს: არის რუსეთი, არის უკრაინა. აბსოლუტურად გეთანხმებით, ჩნდება კითხვები - ვინ წაიქეზა, ვინ დაუჭირა მხარი, ვინ ხელმძღვანელობდა პირადი ინტერესებით. შეუძლებელია ახლა ამაზე პასუხის გაცემა. რომ არ მომხდარიყო ომი, რა თქმა უნდა, ჯობდა იმ პირობების გადაწყვეტა სულ სხვა განზომილებაში, რომელსაც უკრაინას უყენებდნენ. მოლაპარაკებები უფრო მაღალ დონეზე უნდა წარმართულიყო: საერთაშორისო ორგანიზაციების, მისიების და კავშირების... მაშინ არ დადგებოდა სისხლისღვრის აუცილებლობა არცერთი მხრიდან. უნდა დაეცვათ ყველა მხარის ინტერესები - რუსეთის, ევროპის, პირველ ყოვლისა კი სუვერენული ქვეყნის - უკრაინის. ზელენსკი ახალგაზრდაა, დიდი პოლიტიკოსი არც არასოდეს ყოფილა, თუკი მისი წარსულით ვიმსჯელებთ. არც იმას გამოვრიცხავ, მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ომი თავიდან აეცილებინა... არ ვიცი, ახლა რთულია ამ საკითხზე საუბარი. გავიმეორებ: რაც დღეს ხდება, არ უნდა მომხდარიყო.

- დიდ პოლიტიკას პატარა ადამიანები ეწირებიან. რამდენად გამართლებულია სიკვდილი პატრიოტული შეძახილების ფონზე? არცერთი ბავშვის ნაკაწრი არ ღირს ათასობით ჰექტარი მიწისთვისაც კი. ამ ეტაპზე ზელენსკის გადადგომა იქნება გამოსავალი?

- მოდით, თავად ზელენსკის სიტყვებით გიპასუხებთ, რუსეთს რომ მიმართა: „აგერ ვართ, არ ვართ ნატოში, ხედავთ ნატოს პოზიციას. მზად ვართ ვისაუბროთ არაბლოკურ უკრაინაზე, ახალ პლატფორმაზე“... ეს სიტყვები ზელენსკის ერთი თვით ადრე რომ ეთქვა, ომი არ დაიწყებოდა.

- რუსეთი უკვე ყირიმის, დონბასის და ლუგანსკის აღიარებას სთხოვს უკრაინას.

- როგორც თავში აღვნიშნე, ვეკონტაქტები რუსებსაც, ბელარუსებსაც და უკრაინელებსაც. აქაც ბევრი მათგანი ჩამოვიდა. ყველა ერთხმად ამბობს, რომ თავის დროზე რომ გაეთვალათ, ახლა ამხელა ტრაგედიის წინაშე არ იდგებოდა კაცობრიობა. რომ გვქონოდა ორი კვირის წინ ის გამოცდილება, ახლა რაც გვაქვს, სულ სხვაგვარად წარვმართავდით მოლაპარაკებებს, არ გვეყოლებოდა ჩახოცილი ახალგაზრდები, ბავშვები, გაუბედურებული, ჭერდაკარგული და უცხოეთში ლტოლვილად გადახვეწილი ხალხი, არ იქნებოდა დანგრეული ქალაქები, ინფრასტრუქტურა, განადგურებული ფაბრიკა-ქარხნები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. ვის აწყობს ყველაფერი ეს? ომი დაასუსტებს არა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას, არამედ ყველა ერძოებაში, მაგრამ რაც ხდება უკრაინაში, ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ თითქმის ტრაგედიაა. იცით, ყაზახეთში რა პრობლემებიც იყო, რუსეთთან სავიზო რეჟიმი გვაქვს, უკრაინაში კი, სადაც ახალგაზრდობის ყველაზე ნაყოფიერი წლები გავატარე, ახლა სისხლი იღვრება. ვხედავ, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ჩემი კოლეგები და ნაცნობ-მეგობრები, რომლებთანაც ახლაც მაქვს კავშირები. ეს განსაკუთრებული განცდაა, ჩემი განვლილი ცხოვრების განსაკუთრებული ნაწილი. უკრაინის წინაშე ვალდებულებას ვგრძნობ. იქაურმა პროფესიულმა განათლებამ წარმატებული კარიერის გაკეთების საშუალება მომცა. მე შევდექი როგორც ექიმი, პიროვნება და ამაში უკრაინას უდევს ლომის წილი. რაც შეეხება ამ ომის ზოგად შეფასებას, ვიტყოდი, რომ ნამდვილი ტრაგედიაა, მსოფლიო აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო ორი კვირის წინ. ომის პროცესები გაამწვავებს ბევრ პოლიტიკურ პრობლემას, მაგრამ ამ ფონზეც კი, უნდა შეეცადოთ, მშვიდობიანი გზით ვატაროთ ჩვენი საქართველო. ამ მხრივ უდიდესი გამოცდილება გვაქვს და იმედი მაქვს, მაშინდელი მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით, უსაფრთხოდ გამოვიყვანთ ერს ომის დაუნდობელი პროცესებიდან. კიდევ ერთ დარტყმას საქართველო ვეღარ გაუძლებს. უნდა მოვზომოთ თითოეული ნაბიჯი ჩვენი მომავალი თაობისთვის, ჩვენი ბავშვებისთვის.

- ჩვენ-ევროპა-ომი...

- რა წარსულიც უნდა გვაკავშირებდეს რუსეთთან, ჩვენი მენტალიტეტით და გაგებით ევროპული ქვეყანა ვართ. ქართველი ახალგაზრდობა სიამოვნებით მიემგზავრება ევროპაში განათლების მისაღებად და ძალიან კარგად ეთვისება ევროპულ მოთხოვნებს. იგივე ტურიზმის მხრივ, ქართველებისთვის უპრიანია ევროპული მარშრუტების არჩევა და იქ დასვენება. ის, რაც დღეს ხდება, ალბათ იმ ცივი ომის გაგრძელებაა, რომელიც თავის დროზე ვერ გადავლახეთ, რაშიც ჩვენი მენტალიტეტიცაა დამნაშავე. იმის მიუხედავად, რომ სიტუაცია ძალიან დაძაბული და არაერთაზროვანია, მაინც ვთვლი, რომ ომი მალე დასრულდება, ყველაფერი დაილექება, გაიმარჯვებს მშვიდობა, დემოკრატიული ურთიერთობები და მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპს შეუდგება, რომელშიც აღარ ექნებათ ადგილი აგრესორებს და დიქტატორებს. იმას, რაც დღეს ხდება ცენტრალურ ევროპაში, სადაც ამ წუთებშიც კი იღუპება უამრავი ადამიანი ორივე მხრიდან, ვერ გავამართლებ ვერცერთი კუთხით. ეს ყველაფერი ძალიან ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას, ტოვებს ნალექს ოჯახებში. ხომ ხედავთ, რამდენიმე ათასი ადამიანია განადგურებული, რამდენი ლტოლვილად იქცა. ამჟამინდელი მონაცემებით მათმა რიცხვმა მილიონ 700 ათასს გადააჭარბა. ემისიაა ემიგრანტების უკრაინიდან. მათ შორის ბევრია ბავშვი, სრულიად ახალგაზრდა ადამიანი... რით იწყებენ საკუთარ ცხოვრებას, როგორ პირველ ნაბიჯებს დგამენ ცხოვრებაში, ყველა ვხედავთ. ისინი გაურბიან სიკვდილს, დაბომბვას, შიმშილს, სიცივეს, ნანგრევებში აღმოჩენას და ცოცხლად ჩამარხვას. ომი საშინელებაა, განსაკუთრებით, სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. მშვიდობაზე უკეთესი არაფერია. კარგად იცით, რამდენი ათწლეული დაგვჭირდა მეორე მსოფლიო ომის შედეგების, იქიდან მომდინარე ბარიერების გადასალახად, რომ ნორმალურად აგვეწყო ურთიერთობა, იგივე გერმანიასთან, ევროპის სხვა ქვეყნებთან... ამ გადასახედიდან კარგად ჩანს, რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ომი. ხომ შეიძლებოდა, რომ მილიონობით დაღუპულ იმ ადამიანს ეცოცხლა, საკუთარი ქვეყნისთვის ეშრომა და ოჯახები შეექმნა, დღეს ხომ სულ სხვა ვითარება გვექნებოდა?

- ნატოში შესვლის სურვილის გამო დაარტყა რუსეთმა უკრაინას. როგორ ფიქრობთ, ზელენსკი გაბედავდა ამ ომში შესვლას, რომ არ ჰქონოდა დასავლეთის მტკიცე იმედი?

- რთულია საუბარი იმაზე, რაც დიდ პოლიტიკას შეეხება. დღეს ფაქტის წინაშე ვდგავართ - საომარი მოქმედებები მიმდინარეობს უკრაინაში, უამრავი ლტოლვილია. ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან ნებისმიერ მოვლენას ორი მხარე აქვს: არის რუსეთი, არის უკრაინა. აბსოლუტურად გეთანხმებით, ჩნდება კითხვები - ვინ წაიქეზა, ვინ დაუჭირა მხარი, ვინ ხელმძღვანელობდა პირადი ინტერესებით. შეუძლებელია ახლა ამაზე პასუხის გაცემა. რომ არ მომხდარიყო ომი, რა თქმა უნდა, ჯობდა იმ პირობების გადაწყვეტა სულ სხვა განზომილებაში, რომელსაც უკრაინას უყენებდნენ. მოლაპარაკებები უფრო მაღალ დონეზე უნდა წარმართულიყო: საერთაშორისო ორგანიზაციების, მისიების და კავშირების... მაშინ არ დადგებოდა სისხლისღვრის აუცილებლობა არცერთი მხრიდან. უნდა დაეცვათ ყველა მხარის ინტერესები - რუსეთის, ევროპის, პირველ ყოვლისა კი სუვერენული ქვეყნის - უკრაინის. ზელენსკი ახალგაზრდაა, დიდი პოლიტიკოსი არც არასოდეს ყოფილა, თუკი მისი წარსულით ვიმსჯელებთ. არც იმას გამოვრიცხავ, მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ომი თავიდან აეცილებინა... არ ვიცი, ახლა რთულია ამ საკითხზე საუბარი. გავიმეორებ: რაც დღეს ხდება, არ უნდა მომხდარიყო.

- დიდ პოლიტიკას პატარა ადამიანები ეწირებიან. რამდენად გამართლებულია სიკვდილი პატრიოტული შეძახილების ფონზე? არცერთი ბავშვის ნაკაწრი არ ღირს ათასობით ჰექტარი მიწისთვისაც კი. ამ ეტაპზე ზელენსკის გადადგომა იქნება გამოსავალი?

- მოდით, თავად ზელენსკის სიტყვებით გიპასუხებთ, რუსეთს რომ მიმართა: „აგერ ვართ, არ ვართ ნატოში, ხედავთ ნატოს პოზიციას. მზად ვართ ვისაუბროთ არაბლოკურ უკრაინაზე, ახალ პლატფორმაზე“... ეს სიტყვები ზელენსკის ერთი თვით ადრე რომ ეთქვა, ომი არ დაიწყებოდა.

- რუსეთი უკვე ყირიმის, დონბასის და ლუგანსკის აღიარებას სთხოვს უკრაინას.

- როგორც თავში აღვნიშნე, ვეკონტაქტები რუსებსაც, ბელარუსებსაც და უკრაინელებსაც. აქაც ბევრი მათგანი ჩამოვიდა. ყველა ერთხმად ამბობს, რომ თავის დროზე რომ გაეთვალათ, ახლა ამხელა ტრაგედიის წინაშე არ იდგებოდა კაცობრიობა. რომ გვქონოდა ორი კვირის წინ ის გამოცდილება, ახლა რაც გვაქვს, სულ სხვაგვარად წარვმართავდით მოლაპარაკებებს, არ გვეყოლებოდა ჩახოცილი ახალგაზრდები, ბავშვები, გაუბედურებული, ჭერდაკარგული და უცხოეთში ლტოლვილად გადახვეწილი ხალხი, არ იქნებოდა დანგრეული ქალაქები, ინფრასტრუქტურა, განადგურებული ფაბრიკა-ქარხნები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. ვის აწყობს ყველაფერი ეს? ომი დაასუსტებს არა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას, არამედ ყველა მათ მეზობელს. ხომ ხედავთ, საქართველოსაც შეეხო კრიზისი და აქაც შეიქმნა არაორდინარული სიტუაცია.

- რუსების მასობრივი ნაკადი მოაწყდა საქართველოს...

- საქართველოს ისტორიულად აქვს ლტოლვილების მიღების მწარე გამოცდილება. მეორე მსოფლიო ომის დროს აქ ხალხის დიდი ნაკადი იყო ჩამოსული. გადატანილი გვაქვს შიმშილობის პერიოდიც და მინდა გითხრათ, რომ საქართველო, გამომდინარე მისი მენტალობიდან, ხასიათიდან, ეროვნული პრინციპებიდან, ყოველთვის ნახულობდა გამოსავალს. დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაშიც ეროვნულ ნიჭს მივმართავთ, ხელს გაუწოდებთ ამ ხალხს და, საერთაშორისო ავტორიტეტისთვის, არსებულ სიტუაციას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდაც გამოვიყენებთ. ოდითგან სტუმართმოყვარეობა მოგვდგამს და ომისგან ამა თუ იმ გზით დაზარალებულ ყველა ადამიანს მივაქცევთ სათანადო ყურადღებას, გავუწევთ მაქსიმალურ დახმარებას. დარწმუნებული ვარ, სადაც უნდა წავიდეს ქართველი, სწორედ აქ ჩამოყალიბებული იმიჯით ისარგებლებს.

- ამ ადამიანების შემოსვლაზე თანხმობა მთავრობამ განაცხადა. როგორ შეაფასებდით ღარიბაშვილის კურსს რუსეთ-უკრაინასთან მიმართებაში?

- ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც პრემიერს, მშვიდობიანი გზით, ძალიან კარგად მიჰყავს ქვეყანა და დარწმუნებული ვარ, აღნიშნული სიტუაცია არც პრემიერზე და არც ჩვენს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. საქართველო აღმოჩნდა „დიდი თამაშის“ პატარა მონაწილე და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, რომ როგორმე ჩვენი ხალხის სასიკეთოდ წავიყვანოთ ეს ვითარება.

- ოპოზიცია სათავეში ჩაუდგა პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდებს და ყველა ფორმით აპელირებს მთავრობის გადაყენებას და უკრაინის ომში ქართველების ჩაბმას.

- რაც შეეხება ოპოზიციურ სპექტრს, პატივს ვცემ მათ აზრს, პოზიციას, იდეებს, გადაწყვეტილებებს. არ მინდა დავუშვა, რომ ისინი თუნდაც რაღაც ფორმით ეწინააღმდეგებიან საქართველოს მშვიდობიან მომავალს. დარწმუნებული ვარ, ფიქრობენ ქვეყნის ღირსეულ მომავალზე და მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობა აწუხებთ.

- ომში ჩაბმას საქართველოსთვის კეთილდღეობად მიიჩნევთ?

- ამ შემთხვევაში კონსტრუქციულ ოპოზიციურ სპექტრზე ვსაუბრობდი. რაც შეეხება რადიკალურ ნაწილს, რომელიც მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესებიდან გამოდის, ცხადია, ვერ ვუწონებ იმ აგრესიას, რომლითაც ადრეც გამოირჩეოდნენ. ახლა არ არის დაპირისპირებების დრო, ერთობაა საჭირო. იმედს ვიტოვებ, რომ მსგავს ფაქტებსაც ჩვენი საზოგადოება სათანადოდ შეაფასებს.

- ევროკავშირში დაჩქარებული წესით განაცხადის შეტანას რით ახსნით?

- დღესდღეობით ამ დიდი ევროპული ოჯახის ასოცირებული წევრი ვართ. ყოველთვის გვინდოდა, ჯერ კიდევ ისტორიულად, ევროპის წევრი ქვეყანა გავმხდარიყავით, რაც თანამედროვე პოლიტიკის წამყვანი ხაზიც იყო და რისი წინააღმდეგიც სხვა ქვეყნები არასოდეს ყოფილან. რაც შეეხება განაცხადის შეტანას, ვფიქრობ, კანდიდატად ჩვენი მიღება ცუდი არ იქნება, მაგრამ ის, რაც ჩვენი გასაკეთებელია - ქვეყნის, მთავრობის, საზოგადოების, ჩვენ უნდა გავაკეთოთ. დანარჩენს დრო გვაჩვენებს. მოგეხსენებათ, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი სწრაფად არ ხდება. ის ბენეფიტები, რაც ამ წევრობამ უნდა მოიტანოს, ძალიან წაადგება საქართველოსა და მის მოქალაქეებს.

- პუტინის რეაქციას არ ვითვალისწინებთ?

- ოფიციალურ რუსეთს პროტესტი არასოდეს დაუფიქსირებია საქართველოს ევროკავშირში შესვლის თაობაზე, ყოველთვის ნატოზე იყო აქცენტი გაკეთებული.

- რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ევროკავშირის წევრობა თავისთავად გულისხმობს ნატოში შესვლასაც, ან სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, მის დახმარებას...

- არა, ევროკავშირში არიან ქვეყნები, რომლებსაც ნატოსთან არაფერი აკავშირებთ. რაც შეეხება ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრობას, ესეც ხანგრძლივი პერსპექტივაა. ახლა ლაპარაკია არა პოლიტიკურ თუ სამხედრო ორგანიზაციებში ჩართვაზე, არამედ ეკონომიკურ განვითარებაზე, რომლის ხელშეწყობაც შეუძლია ევროკავშირს.

- ომის ფონზე რამდენად დასაშვებია საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაწყება?

- დარწმუნებული ვარ, თუ ამ კონფლიქტის გენერალიზაცია არ მოხდა, საქართველო შეძლებს მიმდინარე მშვიდობიანი პოლიტიკით გაცილებით მეტი ავტორიტეტი მოიპოვოს საერთაშორისო მასშტაბით. შესაძლოა, პირველ ეტაპზე რაღაც ეკონომიკური პრობლემები შეგვექმნას, მაგრამ შემდეგში პირიქით, მოგებული დავრჩებით. მეტსაც გეტყვით, თვენახევრის წინ ძალიან სერიოზული ეკონომიკური ზრდაა დაფიქსირებული. თუ ისევ გავაგრძელებთ აღებულ კურსს და შევძლებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თავშეკავებულად წავიყვანოთ პოლიტიკა, სულ სხვა პერსპექტივების წინაშე აღმოვჩნდებით.

- ვის ეგონა, რომ პანდემია გაქრებოდა და ომი დაიწყებოდა...

- პანდემია არ გამქრალა. ჯანმოს ბიუროს მონაცემებით, 2022 წლის გაზაფხულზე პანდემიის შეწყვეტას ელოდნენ, რასაც ოფიციალურად გამოაცხადებდნენ. ამ პერიოდს დაემთხვა ომიც და მსოფლიოს ყურადღება გადატანილია აქეთკენ. თუმცა კოვიდი ისევ რჩება, პანდემია რჩება, მაგრამ რჩება იმედიც, რომ გაზაფხულის ბოლოს ჯანმო ოფიციალურად გამოაცხადებს მისი დასრულების შესახებ.

- ვაქცინაცია ისევ გაგრძელდება?

- რა თქმა უნდა, კორონავირუსს თავისი ადგილი აქვს, იგი მუტაციას განიცდის, იცვლება, მაგრამ როგორც გრიპის საწინააღმდეგო აცრებს ვიკეთებდით პერიოდულად, ალბათ კორონავირუსის აცრებსაც გავიკეთებთ. პროფილაქტიკის ერთადერთი უტყუარი გზა ისევ და ისევ ვაქცინაციაა.

> *დარწმუნებული ვარ, თუ ამ კონფლიქტის გენერალიზაცია არ მოხდა, საქართველო შეძლებს მიმდინარე მშვიდობიანი პოლიტიკით გაცილებით მეტი ავტორიტეტი მოიპოვოს საერთაშორისო მასშტაბით. შესაძლოა, პირველ ეტაპზე რაღაც ეკონომიკური პრობლემები შეგვექმნას, მაგრამ შემდეგში პირიქით, მოგებული დავრჩებით. მეტსაც გეტყვით...*

ᲘᲒᲘ ᲗᲐᲜᲐᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲛᲘᲚᲗᲐᲜ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲜ, ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲫᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ 55-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ

55 წლის წინათ დაიწყო მუშაობა მანანა ძიძიშვილმა გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიაში“ (1967 წლის 6 მარტს), საიდანაც გაზეთ „აჭარაში“ გადმოინაცვლა (1992 წლის 1 მაისს) და ბათუმს თავი გააცნო, როგორც ნიჭიერმა, პროფესიონალმა, საქმის ერთგულმა და ადამიანის მოყვარულმა ჟურნალისტმა. შრომა კურიერის პოზიციიდან დაიწყო, რამდენიმე წელიწადში კი ქალაქმა მიიღო ნიჭიერი ახალგაზრდა ჟურნალისტი, რომელიც თემის მრავალფეროვნებით, სათქმელის ნათლად და ლაკონიურად გადმოცემის უნარით გამოირჩეოდა.

ᲐᲕᲗᲝ ᲚᲝᲛᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

შეიძლება ითქვას, „აჭარასთან“ ერთად გაიარა გაზეთისა და საკუთარი სიცოცხლის გზის უმეტესი ნაწილი, ჩვენი გამოცემის საუკეთესო წარმომადგენლებისგან ისწავლა და შეისისხლხორცა საქმე, რომლითაც ათწლეულების განმავლობაში ემსახურება მშობლიურ აჭარას. მას წილად ხვდა ალი სამსონიასთან, ნევრო პატარაიასთან, ნუგზარ ჯაფარიძესთან, სერგო კაკაურიძესთან, არჩილ ტოტოჩავასთან, შოთა ზოიძესთან და სხვებთან ერთად ემუშავა და მათი გამოცდილებიდან ბევრი რამ ესწავლა. როგორც თავად ამბობს, ფაქტების გადამოწმების ჩვევა და მათ სიზუსტეზე პასუხისმგებლობა „სოვეტსკაია ადჟარიას“ მაშინდელმა მთავარმა რედაქტორმა ვლადიმერ მარღანიძემ ჩაუნერგა, მის ჟურნალისტად ჩამოყალიბებაში თავიანთი როლი შეასრულეს რუსული გაზეთის კულტურის

> ***„წლების სიმძიმე ვერ ერევა, დღესაც თითქმის ყველაზე აქტიური და დაუზარელი ჟურნალისტია. ჩვენი გაზეთის ტექნიკური პრობლემების პირობებშიც (ავტომანქანის ფუფუნება კარგა ხანია აღარ გვაქვს) ყოველთვის იქაა, სადაც ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ამბავი ხდება***

განყოფილების იმდროინდელმა უფროსმა ნელი ბოკერიამ და ჟურნალისტმა ირინა ბურკაძემ.

მანანა ძიძიშვილის კალამმა ასეულობით საინტერესო, ქალაქისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტი ასახა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და შეუნახა შთამომავლობას. მას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ცოცხალი მატიანეც თავისი კუთხისა და მშობლიური გაზეთისა. განსაკუთრებულად აშუქებს მნიშვნელოვან მოვლენებს

ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲐᲭᲐᲠᲘᲡ» («ᲐᲯᲐᲠᲘᲘᲡ») ᲧᲝᲤᲘᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲒᲣᲚᲐᲓ ᲒᲕᲢᲙᲘᲕᲐ

კულტურასა და ხელოვნებაში, ასევე სპორტში. მრავალი ბათუმელის, თანამემამულის ნაღვაწ-ნაშრომი დააფასა, მათი პიროვნული და პროფესიული მხარეები წარმოაჩინა. შთამბეჭდავი მასალები აქვს მომზადებული არაერთ ცნობილ ხელოვანსა თუ სპორტის სფეროს წარმომადგენელზე, რომელთა შორის არიან მერაბ ბერძენიშვილი, გია ყანჩელი, რამინ მიქაბერიძე, ელისო ვირსალაძე, ლიანა ისაკაძე, ნიკოლოზ რაჭველი, ლაშა ტალახაძე, ლაშა ღლონტი, თემურ დოლიძე, შუშანა ფუტკარაძე, ბელა ქედიდ მოგზაურობაში გააცილა და მისი დასრულების შემდეგ დახვდა წითელ ხიდზე მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას, რომლის მოგზაურობას სათანადოდ აშუქებდა გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზე.

იგი არაერთხელ შეეხო ისეთ მტკივნეულ თემებს, როგორიც იყო ბათუმის სტადიონის მშენებლობა, დღეს კი არის საცურაო აუზი. ოც წელზე მეტია, მას ყოველწლიურად ასახელებენ (აჭარის სპორტისა და ახლგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, სპორტის დეპარტამენტი, ქალაქ ბათუმის მერია) საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად. 2021 წელსაც ასე იყო.

მისი სახელი, როგორც აჭარაში მოღვაწე წარმატებული სპორტული ჟურნალისტისა, შეტანილია ლევან ჯიოშვილის სამაგიდო წიგნში „სპორტი აჭარაში“, მანანა ძიძიშვილის საქმიანობასა და ცხოვრების შესახებ მოთხრობილია ბაგრატ თავბერიძისა და ელა მოსეშვილის წიგნში „ბათუმის სული“.

აჭარის ხელოვნების, კულტურისა და სპორტის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მიღებული აქვს არაერთი მადლობის სიგელი.

2019 წელს ჟურნალისტიკის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის, გაზეთ „აჭარის“ ღვაწლმოსილ კორესპონდენტს, 2011 წლის საუკეთესო ჟურნალისტს, დარეჯან (მანანა) ძიძიშვილს მიენიჭა დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მიუხედავად იმისა, რომ მისთვის მტკივნეული, საჭირბოროტო თემებიც არ არის უცხო, მანანას შთაგონების ძირითადი წყარო მაინც ქვეყნის თუ პიროვნებების დადებითი მხარეების წარმოჩენაა. ასეთია საზოგადოდ, თანამოკალმეთა, ადამიანთა მიმართ. მწყენინებლის პატიება, სუფთა გული და ღიმილიანი სახე ურჩევნია ბრაზით გულის გასიებასა და წარბების შეკვრას. ამიტომაც ასოცირდება იგი თანაქალაქელებისთვის ღიმილთან, სიყვარულთან, კეთილგანწყობასთან. ეს ყველაზე დიდი ჯილდოა, რომელიც მან დაიმსახურა.

წლების სიმძიმე ვერ ერევა, დღესაც თითქმის ყველაზე აქტიური და დაუზარელი ჟურნალისტია. ჩვენი გაზეთის ტექნიკური პრობლემების პირობებშიც (ავტომანქანის ფუფუნება კარგა ხანია აღარ გვაქვს) ყოველთვის იქაა, სადაც ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ამბავი ხდება.

ბევრი მისი წერილი სამოქალაქო აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს, რადგანაც არასოდეს ყოფილა გულგრილი ფაქტებისადმი, რომლებიც მისი, ჩვენი, ქვეყნის ბედზე ახდენდა გავლენას. ასეა დღესაც, ამიტომ სულაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ კვლავ ახალგაზრდაა.

სიხარულით ხვდება ახალგაზრდების გამოჩენას ჟურნალისტიკის სარბიელზე, ყოველმხრივ ეხმარება მათ პროფესიის უკეთ დაუფლებაში, საინტერესო თემატიკის მოძიებაში, უბრალოდ, ადამიანური კეთილგანწყობით აძლევს სტიმულს, არ შეუშინდნენ ჩვენს პროფესიულ გზაზე არსებულ ოღრო-ჩოღროებს, შეინარჩუნონ თვითრწმენა და თამამად უერთგულონ სიმართლეს, საკუთარ პრინციპებს, რომლებიც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ.

უაღრესად თბილია კოლეგების მიმართ, გულწრფელად უხარია მათი წარმატება, ვერავინ მოასწრებს რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის მილოცვას, ყოველთვის მზადაა, დაგეხმაროს ჭირშიც და ლხინშიც.

საუკეთესო დედაა თავისი ერთი ვაჟის - დათო ძიძიშვილისა, რომელიც ისეთი შვილია, ბევრი რომ ინატრებს. დედის საუკეთესო თვისებები დაინათლა და შეისისხლხორცა. მანანასავით მზრუნველი და ყურადღებიანია ირგვლივ მყოფთა მიმართ, აქტიური, მაგრამ უფრო მიზანმიმართულიც. მანანასაც ის ურჩევნია, შვილი რომ სჯობდეს, ამ შემთხვევაში, დედასა. დათო სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის კომუნიკაციისა და საინფორმაციო პოლიტიკის მიმართულების მკვლევარია, ასევე - კრიზისული კომუნიკაციის სპეციალისტი, მედიის კვლევის დოქტორანტი და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მაგისტრი. უკვე დააგროვა ათწლიანი სამუშაო გამოცდილება საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების დაგეგმვისა და ანალიზის სფეროში (საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი). ამავე დროს დავით ძიძიშვილი „სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი - საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

სტუდენტობიდან კითხულობს ლექციებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამჟამად - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებში მოწვეული პროფესორის სტატუსით. ამასთან, იგი ტრენერია თხუთმეტწლიანი გამოცდილებით, ავტორი კურსისა „ჰიბრიდული ომი და მისგან მომდინარე საფრთხეები“, არის ჰიბრიდული ომების მკვლევარი. ეს არასრული ჩამონათვალია მის საქმიანობათა ნუსხიდან. ხშირად იწვევენ სხვადასხვა ტელეარხის გადაცემებში პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომპეტენტური მსჯელობისთვის.

მანანა ძიძიშვილის ბუნებას, ხასიათის მთავარ შტრიხს შესანიშნავად გადმოსცემს მისი პასუხი შეკითხვაზე - როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი და რა ეხმარება, რომ კვლავ ძველებურად, ამგვარი შემართებით აკეთოს პროფესიული საქმე?

- უპირველესად, უნდა გიყვარდეს საქმე, რომელსაც ემსახურები, ადამიანები, ქალაქი, სადაც ცხოვრობ, ქვეყანა, სადაც დაიბადე ყველაფერს ამ სიყვარულით უნდა აკეთებდე და აუცილებლად უკან დაგიბრუნდება. 6 მარტს ჩემი შრომითი მოღვაწეობის 55 წლისთავთან დაკავშირებით დათომ პოსტი გამოაქვეყნა თავის ფეისბუქგვერდზე, სადაც ამ თარიღს მილოცავდა და ათობით ადამიანმა ისეთი სიტყვებით მომმართა, იმდენი სითბო მივიღე, კარგა ხანს მეყოფა ბედნიერებისთვის. აი, ეს მაძლებინებს და კიდევ, ყველაზე მთავარი - სიმართლით უნდა წერდე. მთავარი ამბავი კი არა, ის მიდგომაა, რომლითაც მის შესახებ ყვები. რაზეც უნდა წერდე, ყველაფერი სიმართლის განცდით და ადამიანების სიყვარულით უნდა გადმოსცე. მე ადამიანების სიყვარულით ვარ ძლიერი - ჩემი ჰობია სიკეთის გაცემა.

ასეთია ჩვენი მანანა, რომელსაც მთელი ქალაქი კარგად იცნობს, ამიტომ მასვე დაეთანხმება, რომ, მართლაც, ორმაგად უბრუნებს გაცემულ სიყვარულს. ჰოდა, ჩვენი გაზეთის, მთელი ბათუმის სახელით ვულოცავთ მას ამ მნიშვნელოვან თარიღს - ხუმრობა ხომ არაა, ნახევარ საუკუნეზე მეტია, გაზეთის არსებობის უმეტესი დროის განმავლობაში ამ გამოცემის, კეთილი და მართალი სიტყვის, თავისი პროფესიის ერთგული მსახურია. კიდევ დიდხანს უნდა გვყავდე, მანანა, შენი ყოფნა და საქმე სჭირდება „აჭარას“, ჩვენს კუთხეს.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲛᲘᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდები, ვიცი, მკლავი არ მიღალატებს“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*მკლავჭიდი მსოფლიო მასშტაბით სპორტის პოპულარული სახეობა ხდება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები ჰყავს. ამ მიღწევებსა და სხვა გამოწვევებზე აჭარის მკლავჭიდის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი **რამინ (გოჩა) შავაძე** საუბრობს.*

- ბატონო გოჩა, აჭარაში სპორტის ამ სახეობის დაფუძნებას ვინ დაუდო სათავე?

- პირველ რიგში, მსურს გაზეთ „აჭარის“ მთელ გუნდს წარმატებები გისურვოთ პროფესიულ საქმიანობაში. რაც შეეხება თქვენი კითხვის პასუხს - ინიციატივა ეკუთვნით ლევან ჯიოშვილსა და რაულ თავართქილაძეს. როდესაც შემომთავაზეს აღნიშნული ფედერაციის დაფუძნება, უარი არ მითქვამს, შემოვიკრიბე თანამოაზრეები, თემურ ლიპარტაშვილი და სხვები. გარკვეული საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ, ფედერაცია დავაფუძნეთ 2008 წელს. მისი პრეზიდენტი 2014 წლამდე გახლდით. შემდეგ, იყვნენ ოთარ თავართქილაძე, მურად ჯორბენაძე, 2016 წლიდან კი ფედერაციას ისევ მე ჩავუდექი სათავეში.

- რა გზა გამოიარეთ მკლავჭიდის ფედერაციის თავკაცობამდე?

- მანამდე ვიყავი აჭარის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ხელმძღვანელ პოზიციებზე ვსაქმიანობდი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში. ერთ-ერთის ხელმძღვანელი დღესაც ვარ.

- ვინ იყო პირველი სპორტსმენი, რომელმაც ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით წარმატებით იასპარეზა?

- ეს იყო პარამკლავჭიდელი გოგონა მარინე ფუტკარაძე. იგი ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის პრიზიორი გახდა.

- იმ სპორტსმენებზე რას იტყვით, რომლებმაც ბოლო წლებში გაიბრწყინეს?

- მკლავჭიდში აჭარის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი ვაჟებში გახლავთ ქობულეთელი ლევან პოღოსიანი, იგი მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონია დიდებში; ზურაბ თავბერიძე - მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორია დიდებში; დიტო ბუკია (აფხაზეთიდან დევნილი) - მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში; გოგი ხიმშიაშვილი - მსოფლიო პირველობის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. გოგონებიდან ხულოელი ნინო მახარაძე გახლავთ

ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი და გია მარკოიძე (ხულო) - მსოფლიო პრიზიორი ახალგაზრდებში.

- საუბრიდან ჩანს, რომ სპორტის ამ სახეობაში აჭარის მთიანეთია გამორჩეული. აქცენტი აქაურებზე რატომ გადაგაქვთ?

- კარგად მოგეხსენებათ, რომ მთიანი აჭარა ყოველთვის გამორჩეულია ფიზიკურად, სულიერად, ფსიქოლოგიურად ძლიერი ახალგაზრდებით. არჩევანიც ამით არის განპირობებული. ამას ემატება მათი პირადი მოტივაცია, სურვილი და მიზანდასახულობა, რაც, საერთო ჯამში, სპორტის ამ სახეობაში ჩაბმული ახალგაზრდების წარმატების საწინდარია.

- გოგონების ჩართულობას როგორ აფასებთ?

- ჩვენთვის პრიორიტეტული და მეტად მნიშვნელოვანია გოგონების, მათ შორის, პარამკლავჭიდელების აქტიური ჩართულობა აჭარაში მკლავჭიდის განვითარებაში, მათი სპორტული მიღწევები როგორც რესპუბლიკურ, ისე ევროპისა და მსოფლიო არენაზე.

- ფედერაცია საბიუჯეტო თანხებით სულდგმულობს, მაგრამ იგი ძალიან მოკრძალებულია. ურთიერთობა თუ გაქვთ ბიზნესმენებთან?

- აჭარის სპორტის დეპარტამენტი ბატონ ლაშა ჩავლეშვილის თავკაცობით, აქტიურად გვიდგას გვერდით, რაც საბიუჯეტო დაფინანსების ყოველწლიურ მატებაში აისახება. რაც შეეხება ბიზნესმენებს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ფედერაციის აქტიურ ფინანსურ მხარდამჭერებს მურად აბაშიძეს, მურმან ბაკურიძეს, ზვიად აბულაძეს, ნუგზარ ჭადალიძეს, გოჩა ირემაძეს, ზვიად მამულაძეს, სხვებს...

- აჭარის პირველობები, სხვა ტურნირები მარტო ბათუმში აღარ ტარდება, პერიფერიებშიც გადაინაცვლა...

- ჩვენი უპირველესი ამოცანაა, ეს ტენდენცია შემდგომშიც გაგრძელდეს. გვინდა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია, მასში ახალგაზრდა თაობის უფრო აქტიურად ჩართვა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

- როგორია სპორტის ამ სახეობისადმი ქვეყნის, რეგიონისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობის დამოკიდებულება?

- ხაზგასმით მინდა გითხრათ, რომ არ მახსოვს შემთხვევა, ქვეყნის მასშტაბით, გნებავთ აჭარის მუნიციპალიტეტების დონეზე, ჩვენი ინიციატივა, თხოვნა, ან შეთავაზება არ გაეთვალისწინებინოთ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მინისტრ თეა წულუკიანის აქტიური ჩართულობა ზოგადად, სპორტში და მათ შორის მკლავჭიდში, მიმდინარე მტკივნეული პროცესების დარეგულირების საქმეში. შედეგებიც სახეზეა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქალბატონი თეა ჩვეული ყურადღებით და გულისხმიერებით, ეტაპობრივად დაარეგულირებს ყველა პრობლემას. თავად ყველანაირად ვცდილობთ, აქტიურად დავუდგეთ გვერდში დამწყებ, პერსპექტიულ, თუ წარმატებულ სპორტსმენს. საამისოდ საკუთარ თანხასაც არ ვიშურებ, რადგან ვიცი ქვეყანაში არსებული არასახარბიელო სოციალური ფონი. ასეთი თანადგომით, პერსპექტიულ სპორტსმენებს მეტი მოტივაცია და შანსი ეძლევათ სასურველი მიზნის მისაღწევად.

- მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტს საკუთარი მკლავის ძალის მოშველიებაც ხომ არ გიხდებათ?

- ზოგადად, ჩხუბი და კონფლიქტი არ მიყვარს, მაგრამ თუ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდები, ვიცი, მკლავი „არ მიღალატებს“ (იცინის), თუ სერიოზულად და სპორტულ ჭრილში გეტყვით, - მკლავჭიდში ორჯერ ვარ საქართველოს პრიზიორი ვეტერანებს შორის. საკმაოდ პრინციპული ვარ და სწორედ ეს მაძლევს ძალას, რომ დასახულ მიზანს მივაღწიო.

- თქვენი შვილები და სპორტი...

- უფროსი ვაჟი, ლაშა, თავის დროზე ბერძნულ-რომაული სტილის საკმაოდ პერსპექტიული მოჭიდავე გახლდათ, მისი მწვრთნელი აწ განსვენებული, დიდებული პიროვნება, ნამდვილი პროფესიონალი და ბევრი ტიტულოვანი სპორტსმენის, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონის - ლაშა გობაძის აღმზრდელი ლევან შავაძე იყო. უფალმა გაანათლოს მისი სული... ლაშა ამჟამად მეზღვაურია, პატარა ანდრია 10 წლისაა და უფრო წიგნებთან მეგობრობს.

- მეგობარი, რომელსაც ყველა საიდუმლოს ანდობთ?

- ასეთი მეგობარი ჩემს ცხოვრებაში ორია, - დედაჩემი და ჩემი უფროსი ვაჟიშვილი, რომლებსაც ყველაფერს ვუმხელ. ალბათ, იმიტომ, რომ დღესაც მწარედ მახსენებს თავს უახლოეს მეგობრად მიჩნეული ადამიანის დალატი და ზურგში ლახვრის ჩაცემა. დალატი მიუტევებელი ცოდვაა, მოღალატე ადამიანი მეცოდება...

- ისტორიული დიდაჭარის მკვიდრი სოფლის ისტორიას თუ უფრთხილდებით?

- ყოველთვის ვამაყობ დიდაჭარის დიდი და გმირული ისტორიით, ჩვენი წინაპრების მადლიანი საქმიანობით, იმ ნაღდი ქართული ტრადიციებით, რომლებზეც ჩემს სოფელში თაობები აღიზარდა და იზრდება... ქედს ვიხრი დიდაჭარის წინაშე. მისი ისტორიის ერთ-ერთი გამგრძელებელი მეც ვარ.

- უახლოეს პერიოდში რა აქტივობებს გეგმავთ?

- 18 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის აჭარის პირველობა უკვე ჩავატარეთ. მალე 21 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორისაც გაიმართება, ამას მოჰყვება საქართველოს პირველობები, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატები. ჩვენ შევეცდებით, ყველა ასპარეზობა წარმატებულად და მაღალ დონეზე ჩავატაროთ.

- წელს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია...

- ამ არჩევნებზე ჩემს გუნდთან ერთად გამარჯვებას ვგეგმავ და ახალი ენერგიით უფრო მეტი წარმატების მიღწევას.

> *„ხაზგასმით მინდა გითხრათ, რომ არ მახსოვს შემთხვევა, ქვეყნის მასშტაბით, გნებავთ აჭარის მუნიციპალიტეტების დონეზე, ჩვენი ინიციატივა, თხოვნა, ან შეთავაზება არ გაეთვალისწინებინოთ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მინისტრ თეა წულუკიანის აქტიური ჩართულობა ზოგადად, სპორტში და მათ შორის მკლავჭიდში, მიმდინარე მტკივნეული პროცესების დარეგულირების საქმეში. შედეგებიც სახეზეა*

შემოედინება თუ არა რუსების დიდი ნაკადი ბათუმში?

მე-3 გვერდიდან

- იქნებ დაგვიზუსტოთ: რუსები საკუთარი სახსრებით ჩამოდიან, ხოლო უკრაინელებს ვდებულობთ ლტოლვილის სტატუსით?

- შესაძლოა, უკრაინელებსაც ჰქონდეთ ფული, მაგრამ მათ ვეხმარებით როგორც ომის მსხვერპლთ, უკრაინა ჩვენი პარტნიორი ქვეყანაა და დავეხმარებით ყოველმხრივ. რუსეთიდან შემოსულ მოქალაქეებს კი საკუთარი გზა და ანგარიში აქვთ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, მათ უარი ვუთხრათ საქართველოში შემოსვლაზე, ვდებულობთ როგორც სტუმრებს, ცხადია, ვინც კეთილი განზრახვით არის ჩამოსული.

- ფინანსური მხარეც ძალიან აინტერესებს ხალხს, დოლარი „ავარდა“, აქ ჩამოსული რუსები ხარჯავენ იმაზე მეტს, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. თავისთავად ცხადია, იზრდება ფასები მაშინ, როდესაც ჩვენი ანაზღაურება იგივე რჩება.

- ახლა განვიხილოთ ამ ვითარების ფისკალური ნაწილი, რომელიც შესაძლოა დაეტყოს ჩვენს ეროვნულ ვალუტას. მე სტატისტიკასაც გადავხედე, თან მოვუსმინე საქართველოს ეკონომიკის მინისტრ ლევან დავითაშვილს. მისი განცხადებით, ახლა უცხოეთიდან არის შემოსული 15-დან 20 ათასამდე ადამიანი, ხოლო შარშან ამ დროს საქართველოში შემოვიდა 30 ათასი, ანუ ამ მხრივ დიდი დაწოლა არ მომხდარა, უბრალოდ, მათი რაოდენობა თვალში საცემია ომის ფონზე. ვეთანხმები ეკონომიკის ექსპერტს ლადო პაპავას, რომ ამ დროს ქვეყანაში ხდება დიდი ოდენობის უცხოური ვალუტის შემოდინება, თუმცა, რადგან ეს ხალხი ქირაობს, გირაობს უძრავ ქონებას, მათი აქ ყოფნა დიდ რყევებს არ გამოიწვევს ეკონომიკაში. მისივე რჩევით, თავის დასაზღვევად, შესაძლებელია ლიმიტირებული პროცედურები დავაწესოთ საბანკო ოპერაციების კუთხით. კერძოდ, ერთ ადამიანზე, დღის განმავლობაში, გარკვეული თანხის გაცემა იყოს ნებადართული. ამით ხელოვნურ ზღუდეს შევქმნით, რომ რაც შეიძლება მაქსიმალური თანხის შემოდინება და მაქსიმალური დარტყმა არ მოხდეს ეროვნულ ვალუტაზე.

- მაინც რატომ წამოვიდნენ რუსები საქართველოში, სანქციებს გამოექცნენ?

- ალბათ სხვადასხვა მიზეზით. ვიღაც გამოექცა ევროპის მიერ დაწესებულ სანქციებს, რადგან იქ ვეღარ ახერხებს ფინანსური ოპერაციების ჩატარებას და ვერ ახორციელებს ბიზნესს. სხვას არ მოსწონს პუტინის პოლიტიკა და აქეთ წამოვიდა, რადგან ამ საომარ პერიოდში აღარ დაედგომებოდა რუსეთში. არიან ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რუსეთს დიდი ხნის განმავლობაში არ მოეხსნება ევროპული სანქციები და საქართველოში არჩია ცხოვრება. ამ ეტაპზე, რუსეთიდან შემომსვლელთა დიდი ნაწილი მოლოდინის რეჟიმშია, ელოდება სიტუაციის დალაგებას. მათთვის ყველაზე ხელსაყრელია საქართველოში დაბინავება, თუნდაც დროებით, რადგან ზღვისპირა რეგიონია, ევროპა-აღმოსავლეთის ჰაბი, რაც გამოადგებათ მსხვილ ბიზნესმენებს საკუთარი საქმეების წარმატებულად განსახორციელებლად. თანაც, აქედან მარტივია კომუნიკაცია ევროპასთან, რასაც ვერ ვიტყვით კავკასიის სხვა ქვეყნებზე. აზერბაიჯანი, ირანი - აზიაა, სომხეთი კი შუაშია მოქცეული და მას მხოლოდ რუსეთი ესაზღვრება. ცხადია, უნდა გავთვალოთ, რომ ჩვენზე არ იქონიოს უარყოფითი გავლენა ამ პროცესებმა. ჯერჯერობით, განგაშის და პანიკის საფუძველი არ გვაქვს. მივყვეთ მოვლენებს. მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ომი მალე დასრულდება, ყველას და ყველაფერს გაეცემა პასუხი და სავარაუდოდ, მსოფლიო იმსჯელებს ომის შედეგების გამოსწორებასა და სანქციების შემსუბუქება-მოხსნაზე.

საინფორმაციო ომში ჩართულია რადიკალური ოპოზიციის აბსოლუტურად ყველა საინფორმაციო საშუალება და პარტიული აქტივი

- უკრაინაში რუსეთის ღია აგრესიის და წარმოებული საომარი მოქმედებების კვალდაკვალ საქართველოში რადიკალურ ოპოზიციას გაჩაღებული აქვს მძლავრი საინფორმაციო ომი საქართველოს ხელისუფლების და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. მსგავსი პრეცედენტი დღეს არ ფიქსირდება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მიუხედავად იმისა, შეუერთდა თუ არა ესა თუ ის ქვეყანა სანქციებს, აგზავნის თუ არა მთავრობის ოფიციალური თანხმობით მოხალისეებს და ასე შემდეგ, - განაცხადა „ქართული ოცნების" აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, საინფორმაციო ომში ჩართულია რადიკალური ოპოზიციის აბსოლუტურად ყველა საინფორმაციო საშუალება და პარტიული აქტივი მთლიანი რესურსით, რომლებიც თავიანთ მავნებლურ კამპანიას რამდენიმე მიმართულებით აწარმოებენ.

- მაგალითად, ვნახეთ, რომ აბსოლუტურად უსაფუძვლო და შეგნებულად შექმნილი აღმოჩნდა აჟიოტაჟი იმის შესახებ, თითქოს საქართველოში რუსეთის მოქალაქეების განსაკუთრებული მიგრაცია შეინიშნება. რაც შეეხება კონკრეტული მოქალაქეების შემოშვება-არშემოშვების საკითხს, რაზეც პერიოდულად გარკვეულ კონკრეტულ ნეგატიურ კამპანიებს ვაწყდებით ხოლმე საინფორმაციო სივრცეში, როგორც ჩვენი მხრიდან უკვე გახმოვანდა, სხვა ქვეყნის მოქალაქის საქართველოში შემოსვლის დროს შესაბამისი უწყებები, აზღვევენ ყოველგვარ თეორიულ რისკსაც კი და შემოშვების შესახებ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, იღებენ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მარი მიდასელი

ახალი სანქციები – რუსეთს

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეორე ტალღა აამოქმედა. ამის შესახებ ინფორმაცია ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა „ტვიტერის" გვერდზე გაავრცელა.

მისი ცნობით, სანქციები 160 ოლიგარქსა და რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრებს შეეხებათ.

„ჩვენ კიდევ უფრო ვაძლიერებთ სანქციებს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის საპასუხოდ", - განაცხადა ფონ დერ ლაიენმა.

სანქციები ასევე შეეხებათ ბელარუსის საბანკო სექტორს, რუსეთის ფედერაციის საზღვაო სანავიგაციო ტექნიკის ექსპორტსა და კრიპტოაქტივებს.

ამირან გურიელიძე

„ევროკავშირმა რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულებას თავი უნდა დააღწიოს"

ამის შესახებ გუშინ, ევროპული პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას, უსაფრთხოებისა და საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა.

მისი თქმით, ევროკავშირმა კრემლს უნდა ჩამოართვას შესაძლებლობა, დააფინანსოს ომი, რომელიც მან უკრაინაში დაიწყო. „ჩვენ კვლავაც ვრჩებით მოწყვლადი ენერგეტიკულ კავშირებში. როდესაც საუბარი მიდის ნავთობსა და გაზზე, ჩვენ ვიხდით რუსეთის ცენტრალური ბანკის გაყინული აქტივების ეკვივალენტს. ჩვენ დავბლოკეთ ეს რეზერვები, მაგრამ არ შეგვიჩერებია ენერგომატარებლების ნაკადი. ამდენად, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის ის, რომ შევწყვიტოთ ეს წვდომა რუსეთის ეკონომიკისთვის. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ეს ნაკადი, რომელიც მას აძლევს საშუალებას, მიიღოს რესურსები ამ ომის დასაფინანსებლად", - განაცხადა ბორელმა.

მანვე გაიხსენა, რომ ევროკომისიამ წარმოადგინა ზომების პაკეტი მაკროეკონომიკურ დონეზე, რაც საშუალებას მისცემს მიმდინარე წლის ბოლომდე ორი მესამედით შემცირდეს ევროკავშირის დამოკიდებულება რუსეთის ენერგომატარებლებზე.

„ეს მძიმე ამოცანაა, მაგრამ მიღწევადი, თუკი ნამდვილად გვსურს, ამას მივაღწიოთ. ეს მოითხოვს მაკროეკონომიკურ და ტექნიკურ ზომებს. ეს ნიშნავს, რომ ევროპელებმა უნდა შეამცირონ სახლებში ტემპერატურა. ყველამ ინდივიდუალური ძალისხმევას უნდა მიმართოს, როდესაც საუბარია გაზის მოხმარების შემცირებაზე", - განაცხადა ბორელმა.



მანვე გაიხსენა, რომ ევროკავშირის დამოკიდებულების შემცირება რუსულ გაზზე აშკარა იყო ჯერ კიდევ 2014 წელს, როდესაც რუსეთი ყირიმში შეიჭრა. იმ დროიდან ევროკავშირმა გაზარდა დამოკიდებულება რუსეთზე. მისი განცხადებით, ახლა დადგა დრო, სისტემურად, პერმანენტულად და არსებითად შემცირდეს ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ნავთობსა და გაზზე.

მანვე აღნიშნა, რომ ევროკავშირი განაგრძობს რუსეთზე ზეწოლას, რათა აიძულოს ომის შეწყვეტა და ამისთვის ყველა ბერკეტს გამოიყენებს.

„წევრი ქვეყნები სანქციების ახალ პაკეტზე მუშაობენ, რომლებიც მოიცავს 100-მდე ადამიანს სხვადასხვა დონეზე, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებასთან არიან კავშირში. ვიმედოვნებ, ეს პაკეტი დღესვე იქნება მიღებული", - განაცხადა ბორელმა.

ამირან გურიელიძე

დანართი-1 5/03/2022

საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაცია დაფუძნდა 2001 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 248386571). მისამართი: ქ. ბათუმი, ხახულის I შესახვევი №1. ასოციაცია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია პრეზიდენტი ზურაბ მიქელაძე.

2021 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 559908.26 ლარი.

1. ორგანიზაცია შემოსავლებს ღებულობს შემოწირულობის სახით;
2. ორგანიზაციაში დასაქმებულია 9 თანამშრომელი;
3. საქველმოქმედო საქმიანობა განხორციელდა შემდეგ სფეროებში: სამოყვარულო სპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური, განათლებისა და ჰუმანიტარულ სფეროში;
4. უცხოელი დამფუძნებლები და თანამშრომლები ორგანიზაციას არ ჰყავს.

ორგანიზაციის ხარჯები განხორციელდა შემდეგნაირად:

1. პანსიონების სტუდენტთა კვებისათვის ------------------- 15808.45 ლ.
2. ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი --------- 11212.32 ლ.
3. გაცემული ხელფასი --- 97049.60 ლ.
4. სხვა გამოქვითვები --- 435817.35 ლ.

მათ შორის:

1. საკანცელარიო ხარჯები ---------------------------------- 2510.30 ლ.
2. სატელეფონო და ინტერნეტხარჯები --------------------- 396.77 ლ.
3. სამშენებლო მასალები ------------------------------------ 23211.10 ლ.
4. ერთჯერადი დახმარება სურსათით 965 მოქალაქეზე 55671.50 ლ.
5. მოსახლეობაში დანაწილებული ხორცი ---------------- 48450.00 ლ.
6. სამედიცინო მედიკამენტები -------------------------------- 1089.89 ლ.
7. ორგან. და თანამშრომელთა საპენსიო ანარიცხები ---- 5154.00 ლ.
8. სან.დასუფთავება -- 37.31 ლ.
9. ბანკის მომსახურება -- 555.29 ლ.
10. ჟურნალისა და კალენდრების ბეჭდვა ------------------- 7989.80 ლ.
11. ჩარიცხული საშემოსავლო გადასახადი --------------- 20518.00 ლ.
12. ბავშვთა დახმარება ტანსაცმლით ------------------------ 2096.50 ლ.
13. 2020 წლის სამეურ. საქმიანობის და აუდიტის ხარჯები -- 92.00 ლ.
14. დახმარება საგანმანათლებლო ორგანიზაცია განთიადი - 98000.00 ლ.
15. დახმარება ქალთა საერთაშორისო ასოციაცია მომავლისათვის - 10600.00 ლ.
16. საწევრო ორგანიზაციის საჭიროებისათვის ------------- 2719.60 ლ.
17. ჰიგიენური საშუალებები ------------------------------------ 2421.29 ლ.
18. სამლოცველოების სარესტავრაციო ხარჯები ------- 23000.00 ლ.
19. სხვა სამეურნეო ხარჯები ---------------------------------- 35904.00 ლ.

5. ნაშთი წლის ბოლოს --- 20.54 ლ.

ზურაბ მიქელაძე,
საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის პრეზიდენტი

დანართი-1 7/03/2022

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი დაფუძნდა 2016 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 445487312). მისამართი: ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №49/2. ფონდი მოქმედებს ნებაყოფლობის, წევრთა თანასწორუფლებიანობის, დემოკრატიულობისა და კანონიერების საფუძველზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ნოდარ პაქსაძე.

2021 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 38828.48 ლ.

1. უცხოელი დამფუძნებლები და თანამშრომლები ორგანიზაციას არ ჰყავს;
2. ორგანიზაცია შემოსავლებს ღებულობს შემოწირულობის სახით.

ორგანიზაციის ხარჯები განხორციელდა შემდეგნაირად:

1. ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი -------------- 3049.26 ლ.
2. სხვა გამოქვითვები -- 33650.20 ლ.

მათ შორის:

1. შესყიდული მიწის ნაკვეთის საფასური ----------------- 33284.00 ლ.
2. ბანკის მომსახურება -- 18.90 ლ.
3. სმს მომსახურება --- 12.00 ლ.
4. აუდიტორული მომსახურება ------------------------------- 50.00 ლ.
5. 2020 წ. ანგარიში, გაზეთი „ჭარა" ------------------------- 30.00 ლ.
6. ინტერნეტბანკინგი --- 60.00 ლ.
7. მიწის გადასახადი -- 50.00 ლ.
8. საჯარო რეესტრის მომსახურება ------------------------ 145.30 ლ.

3. ნაშთი წლის ბოლოს -------------------------------------- 2129,02 ლ.

ნოდარ პაქსაძე,
ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარე

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აღჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/03/22, 20 15 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

„ოჯახი იყო ის თავშესაფარი, რომელიც ჩემს სულს სჭირდებოდა“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმელი ახალგაზრდა ***ანა ღიასამიძე*** *ბავშვებისთვის და ქალბატონებისთვის ხელნაკეთ აქსესუარებს ამზადებს. ის ქართული ბრენდის - „ლილეპოპი“ დამფუძნებელია, რომელიც ჩვენს ქალაქში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ანამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატი დაამთავრა. ის ასევე ვროცლავის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) საჯარო მმართველობის მაგისტრია.*

- ოჯახსა და ბავშვობაზე გვიამბეთ...

- ხელოვანი ადამიანების ოჯახში გავიზარდე, მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები ჩემ ირგვლივ ტრიალებდნენ. ფერებიც სწორედ მაშინ შევიყვარე. უკვე განსხვავებულად აღვიქვამდი სამყაროს. ჩემთვის რეალობა და წარმოსახვა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ყველას კარგად გვახსოვს 90-იანი წლები როგორი შეზღუდული რესურსების პერიოდი იყო. თითქმის შეუძლებელი გახლდათ საკუთარი ოცნებისთვის ფრთები შეგვესხა, ყველა სტანდარტულად, დინებას მივყვებოდით. წარმოუდგენელი იყო, ხელოვნება საკუთარ პროფესიად გექცია, შინაგანი პროტესტი ყოველთვის მქონდა, ესეც ოჯახისგან ვისწავლე. ოჯახი იყო ის თავშესაფარი, რომელიც ჩემს სულს ნამდვილად სჭირდებოდა. ბავშვობის ოცნებების ახდენას დაგვიანებით შევუდექი, თუმცა, ალბათ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.

- ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი მოგონება...

- პატარაობიდანვე მიტაცებდა მოდა, ტანსაცმელი, რომელიც ჩემთვის მხოლოდ შესამოსელ ფუნქციას არ ატარებდა, ის გარკვეულწილად თვითგამოხატვის საშუალება იყო. ესკიზებს ვხატავდი, ძირითადად, ღამოს კაბებს და აქსესუარებს. ეს არ იყო ჩვეულებრივი ესკიზები, მუდმივად განსხვავებულ ფორმებსა და ფერებს ვეძებდი. თვალს დავხუჭავდი და წარმოვიდგენდი, როგორ ენაცვლებოდა ერთ კაბას მეორე, მეორეს - მესამე. არასდროს მენახა მსგავსი მოდელები. იმ პერიოდში ინტერნეტზე წვდომის საშუალება არ გვქონდა და ერთადერთი, რისი ნახვაც შემეძლო ტელევიზორში, მოდის არხი „Fashion TV“ და რამდენიმე მოდის ჟურნალი იყო. მახსოვს, ერთხელაც, როცა მორიგ ჩვენებას ვუყურებდი, მოულოდნელად დავინახე ჩემს ფანტაზიასა და ფურცლებზე გადმოცემული ჩანახატების გაცოცხლებული, რეალური ვერსიები. ეს იმდენად დიდი შოკი იყო ჩემთვის, რომ ცრემლიც კი მომადგა თვალზე და რამდენიმე წამი ხმას ვერ ვიღებდი გაოცებისგან. ეს იყო ჯონ გალიანოს კოლექციის ჩვენება.

- რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

- მიუხედავად ხელოვნების სიყვარულისა, ჩემს ბავშვობაში ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, უფრო „პრაქტიკული“ პროფესიის არჩევა გადავწყვიტე. საკმაოდ წარმატებულად გავაგრძელე ჩემი კარიერა, სახელმწიფო გრანტებით დავასრულე უმაღლესი განათლების ორივე საფეხური. აქტიური სამოქალაქო სექტორში, დაინტერესებული საჯარო პოლიტიკით, წლების განმავლობაში ვიცვლიდი სამსახურებს, ვისწავლე საზღვარგარეთ. უკვე საჯარო პოლიტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრის დიპლომებიანმა, საკუთარ პროფესიაში შემდეგ საფეხურზე გადასვლის ნაცვლად, გადავწყვიტე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ის გამეკეთებინა, რაც ყველაზე მეტად მსურდა. ავყევი გულის კარნახს, მივატოვე სამსახური ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და დავუბრუნდი პატარა ანას, რომელიც ფერადი სამყაროს შექმნას ცდილობდა. აქ ვარ დღეს, საინტერესო ახალი გზის დასაწყისში. ასე დაიბადა „ლილეპოპი“, ბრენდი, რომლის მეშვეობითაც ვცდილობ, თითოეული ქალბატონის გულში შევაღწიო და ჩემი ფერადი სამყარო გავუზიაროთ.

- როდის გაგიჩნდათ სხვადასხვა აქსესუარის შექმნის სურვილი?

- მათ ყოველთვის ვქმნიდი, სკოლაშიც და შემდეგაც. მუდმივად განსხვავებულის ძიებაში ვიყავი, თუმცა, სერიოზულად არ მიფიქრია, ეს ყველაფერი საქმიანობად მექცია. მას შემდეგ, რაც პატარა ლილე დაიბადა, ჩემი ცხოვრება, ღირებულებები და მიზნები შეიცვალა. უფრო მეტად დავიწყე ფიქრი სიყვარულზე, ემოციებზე, რა გვსურს ცხოვრებისგან, სად ვართ და სად გვინდა ვიყოთ. მივხვდი, რომ ჩემი ოცნებები სხვაგან იყო, მე კი სხვა რეალობაში ვცხოვრობდი.

- „ლილეპოპის“ შესახებ მოგვიყევით - რას უკავშირდება ეს სახელწოდება?

- გადავწყვიტე, საკუთარი ფანტაზია რეალობად მექცია და სხვისთვისაც მეჩვენებინა. ბავშვების ტანსაცმლის მინიკოლექცია შევქმენი, შემდეგ უკვე აქსესუარები შევმატე. მას შემდეგ, რაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ჩემს მცდელობას, უფრო ინტენსიურად გავაგრძელე მუშაობა. საბოლოოდ, ამან ჩემი ძირითადი საქმიანობა ჩაანაცვლა და უკვე პროფესიის შეცვლა მომიხდა. სახელწოდება „ლილეპოპი“ ორი სიტყვის კომბინაციაა: „ლილე“ და „ლოლიპოპი“. ლილე ჩემი შვილის სახელია, ლოლიპოპი კი ბავშვების საყვარელი კანფეტი. რადგან თავდაპირველად მხოლოდ ბავშვების სამოსზე ვმუშაობდი, უფრო საბავშვო სახელზე დავიწყე ფიქრი და საბოლოოდ ამ კომბინაციამდე მივედი. ახლა გაიზარდა ბრენდი და ქალების აქსესუარებსაც ვამზადებ, თუმცა უკვე ამ სახელით გვიცნობენ და თან პოზიტივთან, ფერადოვნებასთან ასოცირდება. ალბათ, არ შევუცვლი სახელს.



- რა ქსოვილს იყენებთ მუშაობისას? ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ საკმაოდ ხელმისაწვდომი ფასები გაქვთ, რაც დღეს იშვიათობაა...

- ვცდილობთ, ჩვენი ნამუშევრები მაქსიმალურად საუკეთესო იყოს, ასევე საუკეთესო - ფასთან კომბინაციაში. მომხმარებლების შეფასებები კი ჩვენთვის მთავარი მოტივაციაა. გვიხარია, რომ მათი უმრავლესობა, პირველი კოლექციიდან პროდუქტის შეძენის შემდეგ, ჩვენი ერთგული მომხმარებელი გახდა და ბევრი სხვა მომხმარებელიც შესძინა „ლილეპოპს“. ხარისხის გარდა, იმაზეც ვფიქრობთ, როგორ შევარჩიოთ ისეთი ქსოვილი, რომელიც ზუსტად შეესაბამება ჩვენს აქსესუარებს. ტანსაცმელთან შედარებით, აქსესუარის დამზადებისას ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი - ქსოვილის გამძლეობა, ფორმა, რამდენად არის შესაძლებელი მასზე ნაქარგის დატანა და ასე შემდეგ.

- კიდევ რომელი სფერო გიზიდავთ?

- უამრავი სფერო მაინტერესებს, რაც მიღებული განათლებიდანაც კარგად ჩანს. ბევრს გაუკვირდება, როგორ შეიძლება გიყვარდეს და გაინტერესებდეს ხელოვნება და პოლიტიკა ერთდროულად, თუმცა ჩემს შემთხვევაში, ეს ნამდვილად ასეა. პოლიტიკა არ შეიძლება განყენებულად განვიხილოთ, ის ყოველდღიურობის ნაწილია და ჩვენს ცხოვრებას, მომავალს ქმნის. ჯერჯერობით, ოცნებად მაქვს და ალბათ, შევძლებ რეალობად ვაქციო საგანმანათლებლო ფონდის შექმნის იდეა. მისი მეშვეობით ქართველ ახალგაზრდებს ხელს შევუწყობ განათლების გაღრმავებაში, საინტერესო გამოცდილებების გაზიარებასა და მიღებაში. იმედი მაქვს, მომავალში მექნება საკმარისი ფინანსური რესურსი, ეს ყველაფერი რეალობად ვაქციო.

- თქვენი აზრით, რა არის წარმატების ფორმულა?

- წარმატება არის აკეთო ის, რაც გაბედნიერებს. ფორმულა კი არის ერთადერთი რამ - უსმინო საკუთარ თავს, მიჰყვე მას, არ დანებდე, არ დაიზარო, ბევრი იშრომო ამ გზაზე. მერწმუნეთ, აუცილებლად მიგიყვანთ თქვენი ბრძოლა ბოლო გაჩერებაზე - სტუმრად ბედნიერებასთან.

მალე დაისადგუროს მშვიდობამ – ეს ყველას ნატვრაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

უკრაინისა და საქართველოს მეგობრობა ათწლეულებს ითვლის. ბევრი რამ აკავშირებს უკრაინელ და ქართველ ხალხებს ერთმანეთთან. ბათუმის ზღვისპირა პარკში უკრაინელი ერის საამაყო შვილების ლესია უკრაინკასა და ტარას შევჩენკოს ბიუსტები დგას, სადაც სადღესასწაულო დღეებში ხშირად იკრიბება საზოგადოება, პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას

გუშინაც ასე იყო - ავდრის მიუხედავად, საზოგადოებამ დიდი უკრაინელი კობზარის დაბადების 208-ე წლისთავი აღნიშნა. შეკრებილები უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურნენ. დაგმეს რუსეთის აგრესია, ოკუპანტ ქვეყანას მოუწოდეს, რაც შეიძლება მალე გაიყვანოს ჯარები მშვიდობიანი ქვეყნიდან.

ბათუმის ქართულ-უკრაინული კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოება „ედნისტის“ თავმჯდომარე ნატალია მიროშნიჩენკომ დიდი კობზარის ცხოვრებასა და მოღვაწეობზე ისაუბრა, წაიკითხა მისი ლექსები.

- უკრაინელი ხალხის დიდი შვილი ჩვენთვის მუდამ ცოცხალია. ბათუმში მცხოვრები უკრაინელები ლხინშიც და ჭირშიც მოვდივართ აქ, პატივს მივაგებთ მის ხსოვნას. მან ანდერძად დაგვიტოვა - გვიყვარდეს ერთმანეთი, შევისწავლოთ არა მხოლოდ უკრაინული, არამედ მსოფლიოს ყველა ენა. ძალიან უყვარდა სამშობლო, მისი ლექსები ახლაც აქტუალურია. არ შემიძლია, არ შევეხო იმ მოვლენებს, რაც უკრაინაში ხდება. ჩვენ ვემადლიერებით საქართველოს მთავრობას. ჩვენი თანამემამულეებისადმი დიდ ყურადღებას იჩენენ ბათუმელები. პოეტი დავით თედორაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მათ საკუთარი სახლი შესთავაზა, ასევე - ჩოხოსანთა თავკაცმა თენგიზ თავდგირიძემ... არაერთი რესტორანი და კაფე გვეხმიანება, გვთავაზობენ დახმარებას, მათ შორისაა რესტორანი „უკრაინა“. მადლობა ქართველ ხალხს უკრაინის, უკრაინელი ხალხის ასეთი სიყვარულისთვის. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენი ძალა ერთობაშია. დაე, მალე დაისადგუროს მშვიდობამ, ეს ყველას სურვილია, ამისთვის ჩვენ, ყველანი ვლოცულობთ, - გვითხრა ნატალია მიროშნიჩენკომ.

- მთელი პროგრესული საზოგადოება დგას უკრაინის გვერდით. ჩვენ ადრეც მოვდიოდით აქ, მაგრამ დღევანდელი შეკრება გამორჩეულია. გვსურს, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ეს საშინელი დღეები, - განაცხადა ბათუმის მერიის საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსმა გელა ბოლქვაძემ.

- სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებს. ის ერი, რომელიც დღეს ერთ მუშტად შეკრული დგას და იცავს თავის სამშობლოს, აუცილებლად გაიმარჯვებს. დღეს ამ ხალხის გვერდით დგომა და თანაგრძნობა აუცილებელია, - აღნიშნა ბათუმის კულტურის ცენტრის დირექტორმა ირაკლი შაფათავამ.

- ტარას შევჩენკო უკრაინელი ხალხის ერთ-ერთი სახეა. ტრადიციას არ ვარღვევთ. ყოველ წელს მივაგებთ პატივს ლესია უკრაინკასა და ტარას შევჩენკოს ხსოვნას. დღეს ომია უკრაინაში. სამწუხაროდ, ომი, ტყვია არ არჩევს ბავშვს და მოხუცს. ეს ტრაგედიაა, კატასტროფაა... იმედი გვაქვს, მალე შეჩერდება სისხლისმღვრელი ომი, - თქვა ბათუმის საპატიო კონსულმა როსტომ კონცელიძემ.

- რამდენიმე წელია, აქ ვცხოვრობ, უკრაინის მოქალაქე ვარ, მეუღლე ნახევრად ქართველი მყავს. თავად ყირიმიდან ვარ. ყოველთვის ვთვლიდი და ვთვლი, რომ ყირიმი უკრაინის მიწაა. ძალიან მიყვარს საქართველო, უკრაინაში საშინელი დღეებია. მე იქ ახლობლები მყავს - ხერსონის ოლქში. უკვე მეოთხე დღეა, მათ შესახებ არაფერი ვიცი. ოდესაში ჩემი ნათესავები სარდაფში იმალებიან. ვფიქრობ, რაც იქ ხდება, არა მხოლოდ პოლიტიკოსების, არამედ რუსი ხალხის ბრალიცაა, რადგან ისინი არ გამოდიან და არ აპროტესტებენ მათი მთავრობის უმსგავსო ქმედებას, სისხლიან რეჟიმს, ზოგს კი უხარია და ამართლებს ამ ომს. როგორ შეიძლება უდანაშაულო ადამიანების სიკვდილის გამართლება, ამდენი სისხლი მათ კისერზეცაა. უფალმა ქნას, მალე დამდგარიყოს ასე ნანატრი მშვიდობა, - გვითხრა იულია მედვედევამ.